პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. ა. კ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
პარასკევი
21
დეკემბერი
№ 293 (4149)

დღის ნომერში

- გარდაიცვალა აკადემიკოსი ნიკო მარი (1-ლი გვ.).
- საბჭოების რაიონული ყრილობები (მე-2 გვ.).
- მისალმება ამხ. ბერიას (მე-3 გვ.).
- მზადება კურის ფართო ვაჭრობისათვის (მე-3 გვ.).
- ტექსტი ოქმისა, რომელიც ხელმოწერილია ჟენევაში 1934 წლის 5 დეკემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლიტვინოვის და საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პიერ ლავალის მიერ (1-ლი გვ.).
- საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება (მე-3 გვ.).
- საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის 1934 წლის 9 დეკემბრის სავაჭრო ოქმის ტექსტი (1-ლი გვ.).
- სტატიები: ქ. გოგუაძის — მახარაძის-რაიონის საბჭოების მე-7 ყრილობის წინ (მე-2 გვ.) და [illegible] — ავამაღლოთ პარტიული სწავლების ხარისხი.
- უცხოეთის ინფორმაცია (1-ლი გვ.).

ფართოდ გავშალოთ ადგილობრივი მრეწველობა

საბჭოთა ქვეყნის გაშლილი სოციალისტური მშენებლობა ქმნის ყოველგვარ პირობებს ფართო მოხმარების საგნების დამზადების დღითიდღე გადიდებისათვის.

მრეწველობის ახალი დარგების განვითარებამ და მუშათა და კოლმეურნეთა მოთხოვნების ზრდამ წამოაყენა ადგილობრივი მრეწველობის უფრო ფართოდ განვითარების აუცილებლობა ადგილობრივი მრეწველობა ახლა წარმოადგენს სერიოზულ ფაქტორს მუშათა და კოლმეურნეთა მოთხოვნების ყოველმხრივ დაკმაყოფილების საქმეში მარტო ის ფაქტი. რომ მეორე ხუთწლედში ნავარაუდევია ადგილობრივი მრეწველობის ფართო მოხმარების საგნების დამზადების ერთისამად გაზრდა პირველ ხუთწლედთან შედარებით, აშკარად მოწმობს მის უდიდეს მნიშვნელობას. მართლაც, ამჟამად განა შეიძლება არსებობდეს იმაზე უფრო საპატიო ამოცანა. ვიდრე სოციალიზმის მშენებელი კლასის საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესება? ეს არის ძირითადი ადგილობრივ მშენებლობაში. მაგრამ ამით არ შემოიფარგლება იგი. ადგილობრივმა მრეწველობამ უნდა მოგვცეს დამატებითი წყაროები, ახალი ნედლეულის სახეები მსუბუქი და მძიმე მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოს ადგილობრივ მრეწველობას გასულ წელს ჰქონდა (არასრული ცნობებით) 248 წარმოებაზე მეტი 7 ათასამდე მუშით. რომელმაც მოგვცა 52 მილიონი მანეთის პროდუქცია. აღნიშნულ პროდუქციაში პირველი ადგილი უჭირავს [illegible] მრეწველობას (40 პროც.). მეორე — ხის გადამამუშავებელ მრეწველობას (18 პროც.). მესამე — საშენ მასალათა მრეწველობას (15 პროც.).

ჩვენშიც საქართველოში. ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის არის ყოველგვარი პირობები ერთერთ გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს ბუნებრივ სიმდიდრეთა დიდი რაოდენობით არსებობა (ქვანახშირი დიატომიტი, ხეტყე მინერალური წყლები, კირი ხეხილი; ვენახი. წითელი მიწა და სხვ.) რომელიც მოითხოვს ყოველდღიურ, სისტემატიურ ბრძოლას: მაქსიმალური ინიციატივის გამოჩენას მათ აღმოჩენასა და საექსპლოატაციოდ გადაცემაში.

გასულ წლებში ადგილობრივი მრეწველობის განვითარება შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა და საკმაო ყურადღება არ ექცეოდა ახალი ობიექტების შექმნას არსებულის დაფინანსებას. მათ უზრუნველყოფას მუშა ხელით და სასურსათო ბაზით მაგალითად ქუთაისში რომელსაც თავისი ძვირფასი ნედლეულით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოში არა თუ არ ფართოვდებოდა ადგილობრივი მრეწველობის ქარხნები. არამედ ვიწროვდებოდა კიდეც რაც გამოიხატებოდა ობიექტების ჩამორთმევაში. ზოგიერთი ობიექტები არ იყო რენტაბელური ასე მაგალითად, 1933 წელს ქუთაისის კირის ქარხანამ იზარალა 100 ათასი მანეთზე მეტი. ასეთივე მდგომარეობაში იყო მიტოვებული ზესტაფონის ფოთის და სხვა რაიონების ადგილობრივი მრეწველობა მიმდინარე წელს კი მათი მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და რაც იმის შედეგია. რომ მე-17 პარტყრილობის დადგენილებათა საფუძველზე პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მტკიცედ მოკიდეს ხელი ადგილობრივი მრეწველობის განვითარების საქმეს.

საქართველოში ადგილობრივი მრეწველობის განვითარების საქმეში შედარებით კარგ მაგალითებს იძლევიან [illegible] ფოთის. ზესტაფონის. ქობულეთის რაიონები [illegible] რაიონში [illegible] დიატომიტის — თეთრი [illegible] მაღნის წარმოება მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა ამოღების დარგში შესრულებულია 130 პროც. [illegible] დიატომიტის გასაშრობი ფარდულები, შემცირებულია თვითღირებულება, გაუმჯობესდა ხარისხი.

ქუთაისის ბოლშევიკებმაც სერიოზულად მოკიდეს ხელი რაიონის სიმდიდრის გამოყენებას მათ 7 ნოემბრისათვის აამუშავეს ალებასტრის ქარხანა. რომელიც ყოველდღიურად დაამზადებს 12 ტონა ალებასტრს. წარმოებები გახადეს რენტაბელური. ჩაატარეს საკვლევაძიებო მუშაობა რომლითაც ისახება დიდი პერსპექტივა საჭირო საშენი მასალებით რაიონის მთლიანად დაკმაყოფილებისა. ზესტაფონში უკვე აწარმოებენ გეოლოგიურ მუშაობას ახალი მადნების ბუდობების შესასწავლად უახლოეს ხანში დამთავრდება აგურის ქარხნის მექანიზაცია. რომელიც 1935 წლისათვის გაზრდის პროდუქციას 25—30 პროცენტით. ასევე შესწავლილია ადგილობრივი ალიზი რომელიც იძლევა კრამიტის ქარხნის აგების გარანტიას და რომელიც მისცემს რაიონს ერთ მილიონ ცალ აგურს.

მაგრამ ასე როდი ხდება ყველა რაიონში მაგალითად. ბორჩალოს. თელავის. გურჯაანის. ყვარელის. რაიონებში დიდძალი ხეხილი. დალპა. ეს ხომ უდიდესი რეზერვია ხილოვნური წყლების და სხვადასხვა სასმელების წარმოებისათვის?

რაიონებში უკვე მიმდინარეობს საბჭოების ყრილობები. ყრილობაზე რაიაღმასკომების თავმჯდომარეების ანგარიშს უნდა ავსებდეს მათ მიერ ჩატარებული მუშაობა ადგილობრივი მრეწველობის განვითარების საქმეში. მომხსენებლები მდიდარი ფაქტიური მასალებით უნდა წარდგნენ ყრილობის წინაშე. ხოლო ყრილობებმა უნდა გვიჩვენონ ბოლშევიკური გაშლილი კრიტიკის ნიმუშები პრაქტიკული ღონისძიებების დასახვით. სარაიონო და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებმა პრაქტიკულად უნდა მოკიდონ ხელი ამ საქმეს. მათ კარგად უნდა ახსოვდეთ რომ მათი მუშაობის შეფასების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს ის. თუ როგორ განავითარებენ ისინი ადგილობრივ მრეწველობას და შექმნიან აუცილებელ პირობებს ფართო მოხმარების საგნების დიდი რაოდენობით გამოშვებისათვის.

რაიონულ და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების და ადგილობრივი მრეწველობის მუშაკების უმნიშვნელოვანეს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს არსებულ საწარმოთა მთლიანად ათვისება ბუნებრივ სიმდიდრეთა მაქსიმალური გამოყენება და მექანიზაციის ჩატარება. ადგილობრივ მრეწველობას უამრავი რეზერვები აქვს საჭიროა პირველ რიგში ამ რეზერვების მობილიზაცია. ტექნიკური და ადმინისტრატიული კადრების მომზადება მუშათა კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესება ამასთან აქედანვე უნდა ჩატარდეს საწარმოთა სწორი დაგეგმვა. ხარჯთაღრიცხვის თავის დროზე შედგენა და კაპიტალური მშენებლობათა პროგრამის დამტკიცება თვითეულ საწარმოს უნდა ჰქონდეს მტკიცე საწარმოო პროგრამა, რომლის შესრულებისათვის ბრძოლა აქედანვე უნდა იქნას გაჩაღებული.

ადგილობრივი მრეწველობის მუშაკების ასევე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ხარისხობრივი მაჩვენებლების სასტიკად დაცვა თვითეულ საწარმოს გადაყვანა სოციალისტურ სამეურნეო ანგარიშზე იმ ვარაუდით რომ ამიერიდან აღვკვეთოთ გადახარჯვები ზარალი და თვითეული საწარმო გადავაქციოთ მომგებიან რენტაბელურ სამეურნეო ერთეულად.

გამოვიყენოთ მრეწველობის ახალი წყაროები გამოვიჩინოთ მაქსიმალური ინიციატივა ფართო მოხმარების საგნების [illegible] გადავაქციოთ ადგილობრივი მრეწველობა სოციალისტური დაგროვების ერთერთ ძლიერ წყაროდ — ასეთია ამოცანა; ბოლშევიკურად უნდა დავძლიოთ ყოველგვარი დაბრკოლება ამ ამოცანის განხორციელების გზაზე.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

1935 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ

მოსკოვი, 17 დეკემბერი. ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება 1935 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ. ამ დადგენილებაში სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ 1934 წელს მიღწეულ იქნა მეტი ორგანიზებულობა ხელშეკრულებათა დადებაში და მათი ხარისხის ამაღლება 1933 წელთან შედარებით, თუმცა ამასთან ერთად, ხელშეკრულებათა დადებისას დაშვებული იყო მთელი რიგი ნაკლი ბევრი ხელშეკრულება დაიდო დაგვიანებით მთავრობის მიერ დაწესებულ ვადასთან შედარებით; იყო შემთხვევები, როცა გასაღებაზე დადებული ხელშეკრულებანი და შესყიდვაზე დადებული ხელშეკრულებანი ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ; საერთო შეთანხმებანი ხშირად სცვლიდნენ ხელშეკრულებათა მაგიერობას. ხოლო გენერალური ხელშეკრულებანი — ლოკალური ხელშეკრულებათა მაგიერობას.

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატი და კოოპერატიული ორგანიზაციები ვალდებული არიან დასდონ 1935 წელს ხელშეკრულებანი და შეასრულონ ისინი. თანახმად ს. ს. რ. კ-ის 1934 წლის 19 დეკემბრის დადგენილებისა 1934 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ და შემდგომი დამატებების და ცვლილებებისა, გენერალურ ხელშეკრულებათა დადება მთლიანად უნდა დასრულდეს 1935 წ. 15 იანვრისათვის, ლოკალური და პირდაპირი ხელშეკრულების დადება — 10 თებერვლისათვის და მშენებლობის ხელშეკრულებებისა — 1935 წ. 15 თებერვლისათვის.

შორეულ-აღმოსავლეთის და დასავლეთ-ციმბირის მხარეებისათვის, თურქმენისტანის, უზბეკისტანის და ტაჯიკისტანის ს. ს. რესპუბლიკებისათვის. ყირგიზეთის, კაზაკსტანის. იაკუტიის და ყარა-კალპაკიის ავტ. ს. ს. რესპუბლიკებისათვის აღნიშნული ვადები გაგრძელებულია 15 დღით.

ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა, რომ საერთო შეთანხმებებს სამეურნეო ორგანიზაციებს შორის არა აქვთ ხელშეკრულების ძალა და ისინი არ გამოდგებიან საფუძვლად მხარეთა მიერ მატერიალური პრეტენზიების წასაყენებლად.

ს. ს. რ. კავშირის უწყებების და საკავშირო კოოპერატიული ცენტრების ხელმძღვანელებს მინიჭებული აქვთ უფლება, ნებადართონ მათდამი დაქვემდებარებულ სამეურნეო ორგანიზაციებს გაითვალისწინონ გენერალურ ხელშეკრულებებში შესაძლებლობა ძირეული საწარმოებისათვის — იყიდონ საქონელი არა ლოკალურ წლიურ ხელშეკრულებათა მიხედვით, არამედ მოკლევადიან ხელშეკრულებათა და ერთდროულ გარიგებათა საფუძველზე. ერთდროულ გარიგებათა საზღვრითი ოდენობა განისაზღვრება გენერალური ხელშეკრულებით და თვითეული გარიგების თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს 10.000 მანეთს.

სამეურნეო სახალხო კომისარიატების მთავარ სამმართველოებს ნებადართული აქვთ ხელშეკრულებანი დადონ იმ შემთხვევებში, როცა მათ გააჩნიათ სპეციალური სახსრები უშუალოდ მათ მიერ მიცემული დაკვეთებისათვის ანგარიშის გასასწორებლად.

ორგანიზაციებს ხელშეკრულებათა დადებისას წინადადება მიეცა გამოიყენონ პირდაპირი ხელშეკრულებების ფორმა ყველა შემთხვევაში, როცა ეს უზრუნველყოფს ზედმეტი შუათანა რგოლების თავიდან აცილებას.

პასუხისმგებლობა ხელშეკრულებათა თავისდროულად და სწორად დადებისათვის სახალხო კომისარიატებში ეკისრება სახალხო კომისრებს, სხვა ცენტრალურ დაწესებულებებში — ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რესპუბლიკებში — სათანადო რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, ხოლო მხარეებსა და ოლქებში — სამხარეო და საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეებს, რომელნიც ვალდებული არიან მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიონ ხელშეკრულებათა დადების მსვლელობას.

1934 წელს არსებული წესი, რომლის თანახმად საბჭოთა მეურნეობანი და სამანქანო - სატრაქტორო სადგურები პროდუქციას დამზადების სახელმწიფო გეგმების მიხედვით ხელშეკრულებათა დაუდებლად აბარებენ, რჩება 1935 წლისათვის. (ადს).

საბჭოთა კავშირის მეგობრული აქტი რუმინეთის მიმართ

ვენა, 19 დეკემბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, რუმინეთის პრესა უდიდესი კმაყოფილებით იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა რუმინეთში ამხ. ოსტროვსკიმ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს რადულესკუს საბჭოთა მთავრობის სახელით გადასცა მეტრის ეტალონი (სანიმუშო საზომი, რომლითაც ამოწმებენ სხვა ზომებს) და კილოგრამის ეტალონი, რომლებიც ეკუთვნოდა რუმინეთის საწონ-საზომთა პალატას და გადატანილი იყო მოსკოვში 1916 წელს.

რადულესკუმ პარლამენტში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მხურვალედ მიესალმა აღნიშნული საგნების გადაცემას რუმინეთისათვის, ამასთან ამ ნაბიჯს მან უწოდა რუმინეთის მიმართ საბჭოთა მთავრობის მეგობრული ზრახვების დამამტკიცებელი საბუთი (ადს).

საერთაშორისო ფაშისტური კონგრესის გარშემო

ბერლინი, 18 დეკემბერი. საერთაშორისო ფაშისტურ კონფერენციაზე, რომელიც შესდგა მონტრეში (შვეიცარია), გერმანიის და უნგრეთის ფაშისტური პარტიების წარმომადგენლები არ მიუწვევიათ, რადგან, კონფერენციის ხელმძღვანელობის განმარტებით, განზრახული იყო მხოლოდ იმ ქვეყნების წარმომადგენელთა შეკრება, სადაც ფაშიზმი ჯერ კიდევ არ არის ხელისუფლების სათავეში. ინგლისური გაზეთების კორესპონდენტთა ცნობით, კონფერენციაზე თავი იჩინა სრულმა უთანხმოებამ თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხში. განსაკუთრებით მკაფიოდ დაისახა უთანხმოება ჩრდილოეთის ჯგუფსა, რომელიც შესდგებოდა სკანდინავიის ქვეყნების წარმომადგენლებისაგან. და რომაულ ჯგუფს შორის. კონგრესმა გადაწყვიტა დანიშნოს მუდმივი კომიტეტი. რომელიც ყოველწლიურად უნდა შეიკრიბოს. (ადს).

გერმანიის პრესის თავშეკავებული ტონი

ბერლინი, 19 დეკემბერი. ლავალის მიერ სენატში წარმოთქმულ სიტყვას, რომელიც უმთავრესად გერმანიას შეეხება, პრესა ძალიან თავშეკავებულად შეხვდა. „ბერლინერ ბერზენციტუნგი", ახასიათებს რა ლავალის სიტყვის იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ გერმანიას ეხება, მიუთითებს „გაორკეცილობაზე" და „კონკრეტული შინაარსის უქონლობაზე" (ადს).

უზუნოვიჩი გადადგა

ვენა, 19 დეკემბერი. როგორც ბელგრადიდან იტყობინებიან, ეფტიჩის და კოიჩის გადადგომის შემდეგ მთელი კაბინეტის სახელით გადადგომის ქაღალდი შეიტანა უზუნოვიჩმა. გადადგომა მიიღო რეგენტის საბჭომ, რომელმაც დაავალა უზუნოვიჩს მთავრობის საქმეების დროებითი გამგებლობა. ამის შემდეგ რეგენტმა პავლემ მიიღო სენატის თავმჯდომარე ტომაშიჩი, სკუპშჩინის თავმჯდომარე კუმანუდი, აგრეთვე ყოფილი ოპოზიციური ბურჟუაზიული პარტიების ბელადები. ცალკე მიღებულ იქნა ეფტიჩი (ადს).

დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონპროექტი სამხედრო კრედიტების შესახებ

პარიზი, 19 დეკემბერი. გუშინ დეპუტატთა პალატამ 460 ხმის უმრავლესობით 180 წინააღმდეგ მიიღო მთავრობის კანონპროექტი საგანგებო დამატებითი სამხედრო კრედიტების შესახებ 800 მილიონი ფრანკის რაოდენობით (ადს).

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა გამოცვლა ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის

ჰელსინგფორსი, 19 დეკემბერი. დღეს მოხდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა იმ ოქმის დამტკიცების შესახებ, რომელიც ხელმოწერილ იქნა მოსკოვში 7 აპრილს და რომლის ძალითაც 10 წლით გაგრძელდება მოქმედების ვადა ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის თავდაუსხმელობის პაქტს (ადს).

ბერანჟეს გამოსვლა სენატში

პარიზი, 19 დეკემბერი. ლავალამდე სენატში გამოვიდა მომხსენებელი საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის საკითხზე და სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბერანჟე, რომელმაც სხვათაშორის განაცხადა:

„საბჭოთა კავშირის შესვლა ერთა ლიგაში გერმანიის გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ ნიშნავს ევროპის პოლიტიკის სიმძიმის ცენტრის გადანაცვლებას და ევროპის ძალების გადაჯგუფებას, რითაც საფრანგეთი უშუალოდ არის დაინტერესებული". „ჩვენ უკვე კმაყოფილებით აღვნიშნეთ ჩვენი დიპლომატიის ეს პოლიტიკა, — განაცხადა შემდეგ ბერანჟემ. — მაგრამ ჯერ-ჯერობით მთავრობისაგან მივიღეთ არასაკმაო ცნობები საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების ნამდვილი ხასიათის შესახებ". დასასრულ ბერანჟემ განაცხადა:

„საფრანგეთის და სენატის საზოგადოებრივი აზრი შეშფოთებულია ზოგიერთი ცოტად თუ ბევრად ოფიციოზური ხასიათის მოლაპარაკებებით, რომელიც საფრანგეთის და გერმანიის მთავრობებს შორის წარმოებს ყოფილ ფრონტელთა ან სხვა პირთა მეშვეობით. სანამ ჰიტლერს საჯაროდ არ უარუყვია გერმანიაში თავისი დოქტრინა, მოცემული მის წიგნში „მეინ კამპფ", საფრანგეთის აუცილებელი განადგურების შესახებ მოკავშირეებისაგან ჩამოშორების გზით, ჩვენთვის მეტად ძნელი იქნება ზოგიერთ წამოწყებისათვის მხარეველობის გაწევა თვით ჩვენივე დისკრედიტირების ან შესუსტების რისკის გარეშე". ყურადღებას იპყრობს ის, რომ ლავალმა არ უპასუხა ბერანჟეს მიერ დასმულ კითხვებზე პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკებებს შესახებ ყოფილ ფრონტელთა მეშვეობით". (ადს)

გალაშქრება ამერიკის შეერთ. შტატების კომპარტიის წინააღმდეგ

ვაშინგტონი, 19 დეკემბერი. არსებული სისტემისათვის ძირის გამოთხრისაკენ მიმართული მოქმედების გამოსაკვლევად სენატის მიერ გამოყოფილმა კომისიამ, რომელიც თავდაპირველად შექმნილი იყო ნაციონალ - სოციალისტთა მუშაობის გამოსაძიებლად, ამჟამად მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო კომუნისტურ მოძრაობას სახელმწიფოში. გუშინ და დღეს კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა [illegible] მოხსენებანი „ამერიკის ლეგიონის", მეწარმეთა სხვადასხვა ორგანიზაციების, პატრიოტულ და [illegible] ჯგუფთა წარმომადგენლებისა, რომლებიც მოითხოვდნენ კომპარტიის გამოცხადებას კანონის გარეშე. არმიის დაზვერვის სამმართველოს უფროსმა გენერალმა სმიტმა განაცხადა, რომ კომუნისტები ცდილობენ შეიჭრან არმიაში და გახრწნან ჯარისკაცები. მან მოითხოვა, რათა შემოღებულ იქნას კანონი, რომლის ძალითაც დაისჯებიან ის პირნი, რომლებიც ეწევიან პროპაგანდას არმიასა და ფლოტში სენატის კომისიის მთელი რიგი წევრები, როგორც ჩანს, მხარს უჭერენ კომპარტიის აკრძალვას (ადს)

პროფ. ლორენცის თვითმკვლელობა

ვენა, 18 დეკემბერი. გუშინ მატერიალური გაჭირვების ნიადაგზე თავი მოიკლა ცნობილმა ქირურგმა პროფესორმა ლორენცმა (ადს).

საფრანგეთის პრესა ლავალის სიტყვის შესახებ

პარიზი, 19 დეკემბერი. კომენტარიებს უძღვნიან რა ლავალის სიტყვას სენატში, ზოგიერთი გაზეთი გამოთქვამს კმაყოფილებას მათგან განირჩევა პერტინაქსის სტატია „ეკო დე პარიში". რომელიც აკრიტიკებს ლავალის დეკლარაციას ერთის მხრით. აწყობს რა მშვიდობიანობის მეგობართა გაერთიანებას. — წერს პერტინაქსი, — ლავალი შიშობს არ გამოიწვიოს გერმანიაში შთაბეჭდილება რომ მას [illegible] მეორეს მხრივ. ლავალს უნდა უზრუნველყოს თავისი ქვეყნის უშიშროება გერმანიის საფრთხის წინაშე. ამ ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობებს შორის იგი ირყევა და მერყეობს (ადს).

ვაშინგტონის ხელშეკრულების დარღვევის პროექტი

ტოკიო, 19 დეკემბერი. საიდუმლო საბჭომ დღეს უკამათოდ ერთხმად დაამტკიცა მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომლის მიხედვითაც ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრ ხელლს უნდა ეცნობოს იაპონიის მიერ ვაშინგტონის შეთანხმების დარღვევა. საიდუმლო საბჭოს გადაწყვეტილება დღესვე მოიწონა იმპერატორმა. ამგვარად, დასრულებულია მთელი ფორმალობა და მინისტრთა საბჭოს დარჩენია მხოლოდ გადაწყვიტოს, თუ როდის უნდა ეცნობოს ხელლს ეს დადგენილება. გაზეთები აღნიშნავენ, რომ იაპონიის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში საიტო ხელლს ცნობას გადასცემს არა უადრეს 26 დეკემბრისა. ავტორიტეტულ წრეებში ფიქრობენ, რომ ეს გაჭიანურება გამოწვეულია სურვილით — მაქსიმალურად დააშორონ ცნობის გადაცემა იმ ვადას, როცა გამოცხადდება ლონდონის წინასწარი მოლაპარაკებების შეწყვეტა. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დღეს განაცხადა, რომ ვაშინგტონის შეთანხმების დარღვევის ვადას მინისტრთა კაბინეტი დაადგენს 21 დეკემბერს. და მისი დარღვევის დღეს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოაქვეყნებს განცხადებას, რომელშიც განმარტებული იქნება ამ ნაბიჯის მიზეზები (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის ახალი წარმატებანი

პარიზი, 19 დეკემბერი. „იუმანიტე" იტყობინება, რომ კომპარტიამ ადგილობრივ მუნიციპალურ არჩევნებში ახალ წარმატებებს მიაღწია მორსენისის არჩევნებში კომუნისტი არჩეულ იქნა მუნიციპალურ მრჩევლად 1.360 ხმით. ხოლო [illegible] 1.765 ხმა (ადს)

ამხ. პოტიომკინმა იტალიის მეფეს გადასცა გასაწვევი სიგელები

რომი, 19 დეკემბერი. იტალიის მთავრობის თავმჯდომარე მუსოლინთან გამოსათხოვარი დარბაზობის შემდეგ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. პოტიომკინი. რომელიც მიემგზავრება ახალი დანიშნულების ადგილზე — პარიზში, მიიღო იტალიის მეფემ რომელსაც მან გადასცა თავისი გასაწვევი სიგელები (ადს)

ამხ. ტროიანოვსკის და იურენევის დარბაზობა იაპონიის იმპერატორთან

ტოკიო, 20 დეკემბერი. დღეს იმპერატორმა სადარბაზოდ მიიღო ამხ. ტროიანოვსკი იმავე დროს მიიღო [illegible] იურენევიც (ადს).

ტექსტი ოქმისა

რომელიც ხელმოწერილია ჟენევაში 1934 წლის 5 დეკემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლიტვინოვის და საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პიერ ლავალის მიერ

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა, გაუზიარეს რა ერთმანეთს ჟენევაში აზრი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკება აღმოსავლეთის პაქტის დადების საკითხზე რომლის ინიციატივა აიღეს მათმა მთავრობებმა, აღნიშნეს ორივე მთავრობის საერთო გადაწყვეტილება მიაღწიონ დასახული საერთაშორისო აქტების დადებას. ამ მომენტში, როცა დაწყებული მოლაპარაკება შედის უფრო აქტიურ ფაზაში, ისინი შეთანხმდნენ ურთიერთ იკისრონ თავისი მთავრობების სახელით დაიცვან შემდეგი პოზიცია:

1) თავის ურთიერთობაში პაქტში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ მთავრობებთან, განსაკუთრებით იმათთან რომლებსაც დღემდეც არ გამოუთქვამთ თავისი პრინციპული თანხმობა პაქტისადმი შეერთების შესახებ, ორივე მთავრობა არ დასთანხმდება მოლაპარაკებაზე, რომლის მიზანი იქნება მათ მიერ მრავალმხრივ ან ორმხრივ შეთანხმებათა დადება, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ აღმოსავლეთის რეგიონალური პაქტის ან მასთან დაკავშირებულ შეთანხმებათა დადებას, ანდა ისეთი შეთანხმებათა დადება, რაც ეწინააღმდეგება იმ პრინციპს, რომლითაც ხელმძღვანელობს ორივე მთავრობა.

2) ამ მიზნით ორივე მთავრობა ერთმანეთს მიაწოდებს ცნობებს ყოველგვარი წინადადების შესახებ, რომელსაც ექნება ასეთი მნიშვნელობა და რომელსაც მიიღებს თვითეული მათგანი ერთერთი გათვალისწინებული მთავრობის მიერ, რამდენადაც არ უნდა იყოს მიცემული ასეთი წინადადება.

ეს ვალდებულებანი ძალაში რჩება მიმდინარე დიპლომატიური აქციის ან სხვა შემდეგომი აქციების მთელი პერიოდის განმავლობაში, რომლებსაც, იმავე საერთო კონცეპციის და იმავე მიზნის საფუძველზე, შეუძლიათ მისი შეცვლა ორივე მთავრობა კისრულობს ხელი არ აიღონ ამ აქციებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ორმხრივი შეთანხმებით უსარგებლოდ იქნება ცნობილი მათი შემდგომი გაგრძელება. ასეთ შემთხვევაში ისინი გამართავენ ურთიერთ თათბირს ახალი გარანტიების საკითხზე, რომელთა ერთმანეთისათვის მიცემაც ისინი ჩასთვლიან შესაძლებლად იმავე პრინციპის და იმავე მიზნის საფუძველზე.

ორივე მთავრობა დარწმუნებულია, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დიპლომატიური თანამშრომლობის მემკვიდრეობითობა და ეფექტიანობა ხელს შეუწყობს მიმდინარე საერთაშორისო მოლაპარაკებათა წარმატებას და ამავე დროს საერთოდ გააძლიერებს ურთიერთ ნდობას ორივე ქვეყნის მთავრობათა ურთიერთობაში.

რის დასადასტურებლადაც ქვემორე ხელისმომწერლებმა. თავისი მთავრობების სათანადო რწმუნებებით აღჭურვილებმა. ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

პიერ ლავალი. მაქსიმ ლიტვინოვი
ჟენევა, 5 დეკემბერი 1934 წ.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1934 წლის 9 დეკემბრის სავაჭრო ოქმის ტექსტი

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარს როზენგოლცს, რომელიც მოქმედებს საბჭოთა კავშირის მთავრობის რწმუნებით და საფრანგეთის რესპუბლიკის ვაჭრობის და მრეწველობის მინისტრს მარშანდოს შორის, რომელიც მოქმედებს საფრანგეთის მთავრობის რწმუნებით. 1934 წლის 4 დეკემბრიდან 9 დეკემბრამდე [illegible] ჰქონდა მოლაპარაკებას, რომელიც ეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ ვაჭრობის საკითხებს

ამ მოლაპარაკების შედეგად, მხარეებმა, რომლებსაც ამოძრავებდა ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების სურვილი, მიაღწიეს შემდეგ შეთანხმებას.

1. უმოკლეს ვადაში დაწყებულ იქნა მოლაპარაკება ამ მიზნით, რომ დაიდოს ხელშეკრულება ვაჭრობის, დასახლების და ზღვაოსნობის შესახებ.

2. 1934 წლის 11 იანვრის დროებითი სავაჭრო შეთანხმება რაც შეიძლება მალე შეიცვალოს ასეთივე ხასიათის შეთანხმებით,

ამ შეთანხმების დადების მიზნით განხილულ იქნა შემდეგი პირობები, რომლებიც შეიძლება გამოდგეს მის საფუძვლად

ა) საბჭოთა კავშირისათვის საფრანგეთის ბაზარზე კრედიტის გახსნის შესახებ, რომლის ოდენობა, რომლის ხანგრძლივობა და საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულ უნდა იქნას და რომელიც მიცემულ იქნება წლების საკმაო რაოდენობით ნორმალური პროცენტის გადახდევინებით. ეს კრედიტი გამოყენებული იქნება იმ დაკვეთებისათვის [illegible], რომლებიც საფრანგეთის მრეწველობას მიეცემა ერთი წლის განმავლობაში

ბ) საფრანგეთის ექსპორტიორებისათვის კრედიტის გარანტიის მიცემის შესახებ

3. თუ ახალი სავაჭრო შეთანხმების დადება არ მოხერხდა 1935 წლის 1 იანვრამდე, 1934 წლის 11 იანვრის შეთანხმება ძალაში დარჩება 1935 წლის განმავლობაში, მოლაპარაკების დამთავრებამდე, რომელიც უნდა დამთავრდეს რაც შეიძლება მოკლე ვადაში.

ეს ოქმი ძალაში შედის ამა რიცხვიდან.

შედგენილია მოსკოვში ორ ეგზემპლარად ფრანგულ და რუსულ ენაზე 1934 წლის 9 დეკემბერს.

ა. როზენგოლცი
პ. მარშანდო.

გარდაიცვალა აკად. ნიკო მარი

19 დეკემბერს. ღამით 0 საათსა და 40 წუთზე. ლენინგრადში, სამხედრო - სამედიცინო აკადემიის კლინიკაში, გულის მოქმედების დაცემის გამო, გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემიის პრეზიდენტი. საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის ამიერ - კავკასიის ფილიალის თავმჯდომარე, კავკასიისმცოდნეობის ტფილისის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნიკოლოზ იაკობის ძე მარი.

აკადემიკოს ნ. ი. მარის ხსოვნას

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა აკადემიის ერთერთი ვიცე-პრეზიდენტი — აკადემიკოსი ნ. ი. მარი.

სრულიად თავისებურმა მეცნიერმა, ღრმა მოაზროვნემ, მან შექმნა ენის განვითარების იაფეტური თეორია, მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მოწაფეთა და თანამიმდევართა მთელი სკოლა.

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემია უახლოეს დროში მიიღებს მთელ რიგ ღონისძიებებს, ნ. ი. მარის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი —
აკადემიკოსი პ. კარპინსკი.

ბიოგრაფიული ცნობები

აკადემიკოსი ნიკო იაკობის-ძე მარი დაიბადა 1864 წლის 28 დეკემბერს ქალ. ქუთაისში [illegible] განათლება მიიღო [illegible] სასწავლებელში. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლებმა იგი მიაბარეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1884 წელს ოქროს მედლით დაამთავრა. მისწრაფება ენებისადმი პატარაობიდანვე ეტყობოდა. მარმა ბავშვობიდანვე იცოდა [illegible] ინგლისური, ფრანგული და გიმნაზიაში ყოფნის დროს შეისწავლა გერმანული, იტალიური. ლათინური. მეტად გატაცებული იყო ბერძნული ენით. 1884 წელს უნივერსიტეტში შევიდა აღმოსავლური ენათა ფაკულტეტზე. ჯერ კიდევ მეორე კურსზე იყო. როცა გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში". შრომა „ბუნება და თვისება ქართული ენისა" უნივერსიტეტი ნიკო მარმა 1890 წელს ვერცხლის მედლით დაამთავრა და იმავე წელს დატოვებული იქნა სომხური სიტყვიერების კათედრასთან 1891 წლიდან იგი ლექციებს კითხულობდა სომხურ სიტყვიერებაზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მარი 1890 წელს მივლინებული იქნა ეჩმიაძინსა და სევანში.

1894 წელს მარმა მიიღო სამეცნიერო მივლინება დასავლეთ ევროპაში ენობრივ მასალებზე სამუშაოდ. 1896 წელს მუშაობდა ვენაში რომში ვენეციასა და იერუსალიმში ძველ ხელთნაწერებზე და საშუალო საუკუნეების ლიტერატურის ნიმუშებზე.

1898 წელს მონაწილეობა მიიღო ნ. პ. კონდაკოვის ექსპედიციაში ათონის მთაზე

1902 წელს მარი დანიშნულ იქნა პროფესორად სომხურ და ქართულ სიტყვიერების კათედრასთან 1911 წელს მას ვხედავთ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ხელმძღვანელად. 1922 წელს ნიკო მარი კვლავ სამეცნიერო მივლინებაშია ბასკეთში (ესპანეთი) ბასკური ენის შესასწავლად.

1921 და 1922 წლებში მარი წავიდა მარქსიზმისაკენ და დაუახლოვდა მას. 1925 წლიდან—კი შეურყევლად დგას მარქსიზმის პოზიციებზე.

1933 წელს მეცნიერ მუშაკთა პირველ საკავშირო ყრილობაზე ამხ. ნიკო მარი აირჩიეს ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ

1928 წელს ნიკო მარმა მიიღო ვ. ი. ლენინის სახელობის პრემია სამეცნიერო შრომებისათვის.

1929 წელს იგი არჩეულ იქნა საკავშირო ცაკის წევრობის კანდიდატად. იმავე წელს აირჩიეს კომუნისტური აკადემიის წევრად.

1930 წელს ნ. მარი არჩეულ იქნა საკავშირო სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის მოადგილედ, იმავე წელს შევიდა კომპარტიის რიგებში 1931 წელს იგი იქნა საკავშირო ცაკის წევრად. ამავე წელს გაემგზავრა [illegible] სამეცნიერო მივლინებით — გერმანიაში

მარმა თავისი უკვდავი შრომებით დიდი ბრძოლა გაუმართა ბურჟუაზიულ ენათმეცნიერებას მან გამოარკვია მიდრეკილება მრავალი ენიდან ერთი ენისაკენ, ენის განვითარება დაუკავშირა საზოგადოებრივ ყოფას.

გამოააშკარავა ენის კლასობრივი ბუნება და გვიჩვენა ენისა და აზროვნების ერთიანობა. დაასაბუთა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების პრობლემა ენობრივი [illegible] მიმართულებას. რომელსაც მარმა ჩაუყარა საფუძველი იაფეტიდოლოგიის [illegible]

ხანგრძლივი მუშაობით დაქანცული ამხ. ნიკო მარი გარდაიცვალა ლენინგრადში გუშინ—20 დეკემბერს.

◆

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება უდიდესი მეცნიერის, მეცნიერებისათვის აქტიური მებრძოლის და გამოჩენილი საბჭოთა საზოგადოებრივი მოღვაწის აკადემიკოს

ნიკოლოზ იაკობის-ძე მარის

გარდაცვალებას.

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

◆

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება. რომ ქ. ლენინგრადში გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის ვიცე - პრეზიდენტი, მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემიის პრეზიდენტი, ს.ს.რ.კ. სამეცნიერო აკადემიის ამიერ - კავკასიის ფილიალის თავმჯდომარე. კავკასიისმცოდნეობის ტფილისის ინსტიტუტის დირექტორი

აკადემიკოსი ნიკოლოზ იაკობის-ძე მარი

◆

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იუწყება. მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერის, საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრის

ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის-ძის მარის

მოულოდნელ გარდაცვალების გამო.

◆

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი აუწყებს საზოგადოებას ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ენათმეცნიერების კათედრის გამგის

აკადემიკოს ნიკო მარის

გარდაცვალებას.

◆

[illegible] ციხის-საყდრის ტყის (ჩოხატაურის რაიონი) სასოფლო საბჭო მწუხარებას გამოსთქვამს ამავე სოფლის ს ხელოვანი შვილის, აკადემიკოს

ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის-ძის მარის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები ახალი გამარჯვებებით ხვდებიან საქ. საბჭოების VII ყრილობას



ახლადაგებული სასტუმრო ქალაქ მახარაძეში.

გამარჯვებით ხვდებიან

(„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ლანჩხუთის რაიონი მთლიანი კოლექტივიზაციის და ტექნიკური კულტურების (ჩაი ციტრუსები) რაიონია. მეურნეობის 92 პროც. გაერთიანებულია კოლმეურნეობებში. შექმნილია 40 კოლმეურნეობა ჩაის და ციტრუსოვანი კულტურების განვითარების საფუძველზე მთელი რიგი კოლმეურნეობები მამათი, აცანა, აკეთი, ჩოჩხათი, ლესაჯინი და სხვა მტკიცდებიან და ვითარდებიან ეკონომიურად და პოლიტიკურად.

ჩაის კულტურის განვითარებაში ამ რაიონს საგრძნობი წარმატებები აქვს მოპოვებული. სამი წლის განმავლობაში ჩაის პლანტაცია გადიდებულია 1050 ჰექტარით. ამჟამად რაიონში გაშენებულია 2368 ჰექ. ჩაის პლანტაცია. ციტრუსოვან კულტურების (მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი) განვითარება-გავრცელებას ამ ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. 1934 წლის განმავლობაში გაშენებულია 61 ჰექტარი მანდარინის პლანტაცია და 3330 ძირი ლიმონი.

გაიზარდა ჩაის მოსავლიანობა. მიმდინარე წლის დამზადდა და სახელმწიფოს ჩაბარდა 831 ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 772 ტონისა. აშენებულია და მუშაობს ჩაის 2 დიდი ფაბრიკა (აცანა, ნიგვზიანი). მიმდინარე წელს შედგება და 1935 წლის 1 მაისისათვის მზად იქნება 2 ფაბრიკა (სუფსა, მამათი).

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ორი-სამი წლის წინათ ნაკლები ყურადღება ექცეოდა კულტურულ მშენებლობას და ქალაქის კეთილმოწყობას. ახლა რაიონში სულ სხვა სურათია, ლანჩხუთის პარტრაიკომმა (მდივანი ამხ. ა. რამიშვილი) საქალაქო მეურნეობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. კულტურულად ეწყობა ქალაქი და იცვლება რაიონის სახე.

აშენდა და უახლოეს დღეებში ამუშავდება 110 ცხენის-ძალიან ელექტრო სადგური. აგე და ამუშავდა „ვოლცოვსკის“ სისტემის წისქვილი, რომელიც დღე-ღამეში დატვირთვით ფქვავს 60 ცენტ. ხორბალს. მშენებლობა დამთავრებულია და უახლოეს ხანში დაიწყებს მუშაობას ავეჯეულობის ფაბრიკა. მომზადებულია ყველა პირობა იმისათვის, რომ 1935 წ. 1 მაისისათვის დამთავრდეს თეატრის დიდი შენობა, რომელიც 1000-ზე მეტ მაყურებელს დაიტევს.

მოწყობილია რენტგენის კაბინეტი, უახლოეს ხანში დამთავრდება რაიკომის და რაიაღმასკომის შენობა, რომლის მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 225.000 მანეთი, მოწყობილია აბანო, რომლის გამტარიანობა 24 საათში უდრის 300 კაცს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქუჩების გალამაზებას. დარგულია წიწვიანი მცენარეები და ევკალიპტი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი მუშაობა, რომელიც ჩატარებულია სასკოლო მშენებლობის საქმეში. სამი წლის განმავლობაში აშენებულია 12 სკოლის შენობა. ამჟამად რაიონის ყველა სკოლა საკუთარ შენობაში არის მოთავსებული.

ზოგიერთმა სასოფლო საბჭომ დაიწყო კულტურულ დაწესებულებათა აგება. მის საუკეთესო მაგალითს იძლევა მამათის, სუფსის, ხ—ხის და სხვა სოფსაბჭოები. სუფსის სოფსაბჭომ დაიწყო თეატრის შენობის აგება, ნინოშვილის სოფსაბჭომ უკვე დაამთავრა არასრული საშუალო სკოლის შენობის აგება.

რაიონში მიმდინარე წელს დიდი მუშაობა ჩატარდა უგზობის ლიკვიდაციის საქმეში. საგზაო მშენებლობის გეგმა რაიონმა შეასრულა 143 პროც. გაყვანილია სუფსა-ფოთის საავტომობილო გზა 9 კილომეტრის მანძილზე. ძირითადად დამთავრებულია ლანჩხუთ-აცანის გზის მშენებლობა.

არსებული მიღწევების განმტკიცება და მისი შემდგომი განვითარება დიდად არის დამოკიდებული ახლად არჩეულ სასოფლო საბჭოების მუშაობაზე. იმაზე თუ როგორ შეასრულებენ ისინი განაწესს, რომელიც მათ მისცეს ამომრჩევლებმა.

ახლად არჩეულმა ზოგიერთმა სასოფლო საბჭომ ფართოდ გაშალა მასობრივი მუშაობა, რის საფუძველზე ვადამდე შეასრულეს გეგმები. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევიან ლანჩხუთის, მამათის, აცანის, სუფსის, ჩოჩხათის და აკეთის სოფსაბჭოები.

სოფსაბჭოების ნაყოფიერი მუშაობის შედეგად რაიონს 10 დეკემბრისათვის შესრულებული ჰქონდა ხორცის და ყველის დამზადების წლიური გეგმები. ფულადი სახსრების მობილიზაციის წლიური გეგმა რაიონმა 5 დეკემბრისათვის შეასრულა. ყველა ზომა არის მიღებული იმისათვის, რომ საბჭოების სარაიონო ყრილობისათვის (ყრილობა მოწვეულია 20 დეკემბერს) ჩაის საშემოდგომო სამუშაოების გეგმები შესრულდეს.

ცხადია, ამ ყველივე ეს არ ნიშნავს იმას რომ ვითომც რაიონში ყველაფერი რიგზე იყოს საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს კომუნალური მეურნეობას. რაიონში აუცილებლად უნდა აიგოს საავადმყოფოს შენობა, ახლავე უნდა დაიწყოს მუშაობა აეროდრომის მოწყობისათვის, რადგან უახლოეს ხანში „კომუნისტის“ ესკადრილია უკვე მოაწოდებს გაზეთებს და სხვა ლიტერატურას. ფართოდ უნდა გაიშალოს ადგილობრივი მრეწველობა. ლანჩხუთის რაიონს ყოველგვარი პირობები აქვს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის. აგრეთვე საჭიროა დროულად იქნას გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯი კულტურული ბაღის მოსაწყობად.

ვ. ქარსელაძე.

გაიხსნა ბორჩალოს რაიონის საბჭოების ყრილობა

17 დეკემბერი. 16 დეკემბერს გაიხსნა ბორჩალოს რაიონის საბჭოების ყრილობა რაიონულ ცენტრს — სარვანს რომელიც სულ ამ ცოტა ხნის წინათ პატარა სოფელი იყო, ხოლო ახლა დამშვენებულია მრავალსართულიანი ქვის სახლებით, ყრილობის გახსნის დღეს განსაკუთრებით საზეიმო სახე ჰქონდა.

პედაგოგიური ტექნიკუმის შენობა, სადაც ყრილობის სხდომები მიმდინარეობს, განათებულია ელექტრონათურებით, რომლებიც ამ დღეს პირველად აინთო სარვანში. დარბაზის კედლები აჭრელებულია დიაგრამებით, რომლებიც გვიჩვენებენ რაიონის ზრდას, მის მიღწევებს.

ჯერ კიდევ დილიდანვე იწყებ დენა სარვანის ქუჩებში მუსიკით და წითელი დროშებით სადახლოს, კურთლიარის, კაჩაგანის, ხოჯორლინის და სხვ. სასოფლო საბჭოების წითელმა ქარავნებმა, რომლებიც ყრილობისათვის აბარებენ სახელმწიფოს ხორცს 1935 წლის დავალების ანგარიშში.

საღამოს 6 საათზე დარბაზი გაჭედილია დელეგატებით. შეიკრიბნენ ბორჩალოს წარჩინებული ადამიანები: კოლმეურნეობათა ბრიგადირები, ჩობანები, საკოლმეურნეო ფერმების მწველელები, ძველი მებამბეები, ბამბის მინდვრების დამკვრელი ქალები. ისმის კოლმეურნეთა ხუმრობა, ჯახსალ ხიცილი, მაგრამ როგორც კი კრების თავმჯდომარის ზარმა დაიწკრიალა — დარბაზი სმენად გადაიქცა.

ყრილობა დაძაბული ყურადღებით ისმენს მოხსენებას ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ, იგი სამარისებური დუმილით გამოხატავს თავის მწუხარებას ამხანაგ კიროვის უდროოდ დაღუპვის გამო. გაისმის მქუხარე ტაში მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. სტალინის და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების გამოცდილი ხელმძღვანელის ამხ. ბერიას სახელის ხსენების დროს, რომლებსაც ირჩევენ ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში.

მხურვალედ ესალმება ყრილობის გახსნას საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ სამხარეო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. მუსტაფაევი. მის შემდეგ ყრილობას მიესალმებიან წით. არმიის, კოლმეურნეების, სკოლების წარმომადგენლები, რაიონის სპეციალისტები, ნორჩი პიონერები.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხ. სტალინს, მოლოტოვს, ბერიას, ფ. მახარაძეს.

სხდომის დახურვის შემდეგ გაიმართა კოლმეურნეთა მსვლელობა ჩირაღდნებით.

ყრილობის საქმიანი მუშაობა დაიწყო 16 დეკემბერს, დილით.

საკვირველია, რას უყურებს რაიონის ხელმძღვანელობა!

(ჩოხატაური, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

სად, რომელ რაიონში გინდათ, რომ გაბურებული კომუნალური მშენებლობა არ იყოს გაშლილი! სად, რომელ რაიონში გინდათ, რომ ძველსა და უვარგის არ ანგრევდენ და ახალ, კარგს არ აგებდენ!

ახლა ჩოხატაურზე ვლაპარაკობთ.

ჩოხატაურშიც უდიდესი მუშაობა ჩატარდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში. სულ სხვაა იყო მიკიტნების, კერძო ვაჭრების, მეწვრილმანე ებრაელების, უსინდისო მეეტლების ძველი ჩოხატაური, თავისი სალოდავი „პარასკეობით“,—და სხვა არის ახლანდელი ჩოხატაური, თავისი ჩაის ფაბრიკით, ხეტყის ქარხნით, საავადმყოფოთი და რაიკოოპკავშირის საამყო შენობებით, აბრეშუმის მრეწველობით, სარაიონო დაწესებულებათა ახალ-ახალი ნაგებობებით, პედაგოგიური ათწლედით, მეფრინველეობა-მეღვინეობის ტექნიკუმით, სარეწაო კოოპერაციის საწარმოებით...

მიუხედავად ამისა თქვენ, რომელსაც ჩოხატაური აღარ გინახავთ 2-3 წელიწადია, ველარ გრძნობთ იქ მოსალოდნელ სიამოვნებას. თქვენ გეგონათ, რომ ჩოხატაურს ველარ იცნობდით. სხვა რაიონების მაგალითები გაძლიერებდათ ასე გეფიქრათ. მაგრამ მოტყუვდით.

რაიაღმასკომისა და რაიკომის დიდი შენობა, რომელიც თქვენს იქ ყოფნისას დაიწყეს, 1931 წლის გაზაფხულზე, ჯერაც არ დამთავრებულა. და გაგონდებათ რაიონის ხელმძღვანელთა დაპირებები ამ სამი წლის წინ რომ აძლევდენ. ჩოხატაურის მშრომელთა—რაიონული მთავრობის, ორსართულიანი აგურის სახლი, 24 ოთახით, 33 წლის ზაფხულზე მზად იქნებაო, ახლა 34 წელი მთავრდება და მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი საშენი მასალა ადგილზეა, სახლი დღესაც დაუმთავრებელია.

შორს არ მიდიხართ. იქვე ქუჩის მეორე მხარეს საძირკველჩაყრილ დიდ შენობას რომ დაინახავთ, მოგაგონდებათ, რომ 1932 წელს აქ დაიწყეს სასტუმროს შენობა, სასტუმრო დიდი იქნება ფრიად, მაგრამ ვიდრე იგი აშენდებოდეს, რა იშველებათ ტფილისიდან ჩასულ მივლინებულებს. (ბოლოსდაბოლოს სირცხვილია. ჩოხატაურში არ არის სასტუმრო და ჩასული ხალხი ვერ იცის სად და როგორ ათენებს ღამეს. ბაზარში მყოფი ერთი უხეირო ანტისანიტარული ოთახი არ შველის საქმეს. ახალი სასტუმრო 42 ოთახიანი იქნებაო,—ამბობენ. არ არის საჭირო ასეთი ხელგაშლილობა. ამხანაგო 5—6 ოთახი მაინც მონახეთ სადმე, ჩოხატაურის ხელმძღვანელებო).

სასტუმრო 1933 წელს მზად უნდა ყოფილიყო. ახლა 34 წელი მთავრდება და ჯერ ჯერობით კედლების 20-25 პროცენტია ამოყვანილი მხოლოდ.

31,32,33,34...

— როგორაა კაცო საქმე. ამ ოთხი წლის განმავლობაში ვერცერთი შენობა ვერ დაამთავრეთ?..—ვეკითხებით ჩვენ რაიაღმასკომის კომუნალური განყოფილების მუშაკთ და ისინიც დიდი რიხით გვპასუხობენ:

— როგორ არა. აი თეატრი, შარშან დავიწყეთ და შარშანვე დავამთავრეთ.

თეატრი.. არ ვარგა ეს თეატრი, ამხანაგებო. გარეგნული შეხედულებით ის ყველაფერს გავს და თეატრს არა. აშენებულია სრულიად უპროექტოდ და უგეგმოდ. კედლები ისე დაბალია, რომ ბოსელი მოგაგონდებათ. შენობა არაჩვეულებრივ გრძელი და ულამაზო. შედიხართ შიგნით და არც ახლა იცვლით შთაბეჭდილებას. სცენა პატარაა, ტექნიკურად შეუფერებელი, რის გამოც დარბაზში ხმა არ ვრცელდება საჭირო სიძლიერით.

წელს დაიწყეს აბანოს შენობა. 45 ათასი მანეთის დახარჯვას ფიქრობენ ამ საქმეზე. ჯერჯერობით საძირკველია ჩაყრილი მხოლოდ.

აბანო. ეს ხომ ჯერ კიდევ მაშინ დაიწყეს, როცა კოსტა ცინცაძე იყო თემსაბჭოს თავმჯდომარედ ჩოხატაურში. სუფსის ნაპირას მშვენიერ ადგილზე ამოიყვანეს კედლები ნახევრად. ჩაყარეს წყალში დაახლოებით ათიათასამდე მანეთი და მორჩა. აბანოს კედლები, რასაკვირველია, კედლებად დარჩა და კომუნალურმა განყოფილებამ ახალი. აბანოს აგება სხვაგან დაიწყო რა არის ეს.. ჩოხატაურის კომგანის მუშაკთა სიტყვით, სასარგებლო საქმე. ჩვენი აზრით კი—უთაობა, სხვა არაფერი.

ამით ამოიწურება ჩოხატაურის კომუნალური განყოფილების საქმიანობა ამ 4 წლის განმავლობაში.

დაიწყეს და დაამთავრეს თეატრის შენობა, რომელიც არ ვარგა. დაიწყეს და ვერ დაამთავრეს რაიონული ხელისუფლების სახლი. დაიწყეს და ვერც დაამთავრეს სასტუმროს შენობა.

რატომ მოხდა ეს?

განყოფილების მუშაკებს (გამგე ლ. მგალობლიშვილი, ინჟინერი ბ. ზერძენიშვილი, ბუღჰალტერი ა. ჯიბუტი) ამ კითხვაზე მზად აქვთ პასუხი:

— საქართველოს კომუნალური ბანკის აჭარისტანის განყოფილება კრედიტებს არ გვაძლევს თავის დროზეო.

არ გვაძლევსო. მართალია ეს ნაწილობრივ კომუნალური ბანკიდან მათ წელს 145 ათასი მანეთი უნდა მიეღოთ და 100 ათასის მეტი ვერ მიიღეს. 100 ათასი კომუნალური ბანკიდან, 67.600 მანეთი ადგილობრივი შემოსავლიდან, სულ 167.600 მანეთი. ეს თანხა, რასაკვირველია, ცოტაა კომუნალური მშენებლობის საწარმოებლად რაიონში, მაგრამ საინტერესოა როგორ გამოიყენეს ჩოხატაურელებმა ეს ცოტა მაინც. 167 600 მანეთიდან ახალ მშენებლობებზე ათვისებულია 66 ათასი მანეთი დანარჩენი 100 ათას მანეთზე მეტი დახარჯულია სრულიად უთავბოლოდ დახარჯულია სრულიად უთავბოლოდ.

წელს მოხდა ჩოხატაურის ბაზრის „ისტორიული რეკონსტრუქცია“. შეეხეს დუქნებს. კომუნალური განყოფილების ხელოსანთა ბრიგადა და რამდენიმე დღის განმავლობაში მოაცილეს მათ პარმაღები და დაბაზები აქაო და, ჩოხატაური ტფილისის „პლანზე“ უნდა მოვაწყოთო. ამ პროექტის ავტორებს დაავიწყდათ ის ფაქტი, რომ ტფილისში და სხვა ქალაქებში ყოველი დუქნის წინ ტროტუარია და თუნდ წვიმით ქვეყანა დაინგრეს, ფეხი მაინც არ დაგისველდებათ. აქ კი პატარა წამოწვიმება საკმარისია იმისათვის, რომ ყოველი დუქნის წინ გაუვალი ტალახი დადგეს. მათ დაავიწყდათ ისიც რომ დაზამთრდება თუ არა ჩოხატაური დაიფარება ერთი მეტრი სიღრმე თოვლით, ამას დაემატება „ზ ქვენა ქარი“, შენობათა სახურავებისაგან გადმოყრილი თოვლიც,—და დუქნების გაღება შეუძლებელი გახდება.

აი ამას ვებრძვით ჩვენ უთაობას და სახელმწიფო თანხების გაფლანგვას. დიახ, ფლანგვას ვეძახით იმ ამბავს, რომ ამ საქმეზე ჩოხატაურის რაიაღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ დახარჯა 45 ათასი მანეთი.

დასკვნა ნათელია — კომუნალური მშენებლობის გეგმათა შეუსრულებლობის მიზეზი მარტო კომუნალური ბანკი კი არ არის. თვითონ ჩოხატაურის კომუნალური განყოფილებაც, რომელმაც სხვა სიკეთესთან ერთად თავის მუშაობაში ვერ დანერგა და ვერ განამტკიცა სამეურნეო ანგარიშის პრინციპი. განყოფილებას ყავს დებიტორები, რომელთა დავალიანებაც 77 ათას მანეთს აღემატება, და რომელთა უმრავლესობისაგან ფულის აღების ყოველგვარი იმედი დაკარგულია. სამაგიეროდ კრედიტორებიც ყავს მას. კრედიტორები, რომლებიც 70 ათას მანეთში ედავებიან კომუნალურ განყოფილებას. მაგრამ არც მათი გასტუმრების იმედია ჯერჯერობით.

და გრძელდება საქმე ამგვარად.

დასასრულ, ორ მტკივნეულ საკითხზე უნდა შევაჩეროთ აგრეთვე რაიონის ხელმძღვანელთა ყურადღება. ეს არის წყალი და სინათლე.

სასმელი წყალი არ უვარგა ჩოხატაურს. ჭის წყალი მლაშეა და უგემოთ, რომელიც არც წყურვილს უკლავს ადამიანს და არც ჯანმრთელობას უნარჩუნებს. ჩოხატაურიდან 4 კილომეტრის დაშორებით არის საუკეთესო წყაროს წყალი, რომლის გამოყვანაზეც აქ 1930 წლიდან მოკიდებული მუდამ მსჯელობენ. წელს კი „უკანასკნელად“ იყო გეგმაში შეტანილი ეს საკითხი. წყალსადენის გამოყვანას 50 ათასი მანეთი ჭირდება. 10 ათასი მანეთი მიიღეს კიდეც. მაგრამ მას „სხვა ქისაში“ ეკრეს თავი.

ელექტროგანათება ჯერ კიდევ ადრე იყო ჩოხატაურში. ახლა სამი წელიწადი იქნება აქ ელექტროლამპაც კი არ უნთიათ. წელს ეს საკითხიც იყო შეტანილი გეგმაში. მიიღეს 20 ათასი მანეთი ელექტროსადგურის დასადგმელად, მაგრამ ჯერჯერობით არც ფული ჩანს და არც საქმე.

დაწყებული მშენებლობები არ მთავრდებიან, გეგმა არ სრულდება. ფული უთავბოლოდ იხარჯება.

საკვირველია, რას უყურებს რაიონის ხელმძღვანელობა?

ნ. პაიჭაძე.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს პირველი პლენუმი

15 დეკემბერს ქუთაისში შედგა ახლად არჩეულ საქალაქო საბჭოს პლენუმი.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. დ. ხარაბაძე, რომელმაც გააცნო დამსწრეებს საბჭოების საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის შედეგები ქალაქად და სოფლად. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ეს არჩევნები მიმდინარეობდა მშრომელთა აქტიური მონაწილეობის ნიშნის ქვეშ. სოფლად დასწრება როგორც საანგარიშო, ისე საარჩევნო კრებებზე უდრიდა 91 პროცენტს ქალაქად 95,8 პროც. საბჭოებში არჩეულ დეპუტატთა შორის ქალები შეადგენენ 10,2 პროც.

ამხ. ხარაბაძის მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი 18 წევრისა და 4 კანდიდატის შემადგენლობით. თავმჯდომარედ არჩეულ ამხ. დ. ხარაბაძე, საბჭოს განყოფილებათა გამგებად დამტკიცებულ იქნენ: მიწგანის — შ. პაქსაშვილი, ფინგანის — ა. აფხაიძე, შინსახკომის რწმუნ. ბ. მელიქაძე, დამზადების — დ. ბეროძე, განათლების — თ. ჭუმბურიძე, ჯანმრთელობის — ვ. შაუხბირაძე, მომარაგების ზ. სვანიძე და სხვ. საქართველოს საბჭოების ყრილობაზე გასაგზავნად არჩეულ იქნა 31 დელეგატი. არჩეულთა შორის არიან ამხ. ლ. [illegible], ზ. მ[illegible] ე. კვანტალიანი, პ. წულუკიძე, დ. [illegible], მათითაიშვილი, დ. ხარაბაძე, თ. კორსაველი, ზ. მელიქაძე და საუკეთესო დამკვრელები კოლმეურნეობებიდან და საწარმოებიდან. ამხ. ლ. ბერიას არჩევას მთელი საბჭო მხურვალე ტაშით შეხვდა.

ქიმკომბინატი. 26 კომუნარის რაისაბჭოს წევრი ქიმიურ საამქროს მუშა ქალი ამხ. ა. კაკაბაძე გოგირდის სიმჟავის დამუშავებაზე.

რაიონული ყრილობები

ზესტაფონი.

14 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, ზესტაფონში გაიხსნა საბჭოების მე-3 სარაიონო ყრილობა.

ყრილობას დაესწრო ა.-კ. და საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე. რომლის შესავალი სიტყვითაც გაიხსნა ყრილობა

ყრილობამ მოისმინა რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ნ. შარიქაძის საანგარიშო მოხსენება. ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. დოლიძის მოხსენება კულტურული მშენებლობის შესახებ რაიონში.

ტფილისი.

19 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კპ. (ბ) ტფილისის რაიკომის მდივანმა გრ. შელიამ გახსნა ტფილისის რაიონის საბჭოების ყრილობა. რომელსაც ესწრება 300 დელეგატი. ყრილობამ აირჩია საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმი.

პირველ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ტფილისის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ჰურღულია, რომელიც ვრცლად შეჩერდა ტფილისის რაიონის მიღწევებზე სახალხო მეურნეობის ყველა ფრონტზე და ხაზი გაუსვა მეცხოველეობის სწრაფ განვითარებას.

აბაშა.

17 დეკემბერს აბაშის მუშათა კლუბში გაიხსნა აბაშის რაიონის საბჭოების მესამე სარაიონო ყრილობა. ყრილობა გახსნა რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნოდიამ. საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ყრილობა შეუდგა დღის წესრიგში დასმულ საკითხებზე მოხსენებების მოსმენას.

ლენინის სახელობის სანატორიუმი გულრიპშში (სოხუმი).

განვამტკიცოთ საბჭოების მუშაობა

(ტყიბული, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

დღეს ტყიბულში საბჭოების სარაიონო ყრილობა იხსნება. ყრილობაზე მოვლენ რაიონის ყველა სოფლიდან და საწარმოდან სოციალიზმის აქტიური მშენებელი ადამიანები და ილაპარაკებენ თავიანთ ახალ მიღწევებზე, რაში გამოიხატება ეს მიღწევები.

იზრდება კოლმეურნეობათა ზრდის ტემპები. 1929 წელს რაიონში მხოლოდ 3 კოლმეურნეობა იყო 49 კომლით. 1934 წელს კი უკვე 47 კოლმეურნეობა არის. 1.801 კომლით.

პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელობით სოფლად განიდევნა, არარენტაბელური კულტურები და მათ ნაცვლად ჩაინერგა რენტაბელური კულტურები კოლექტიური შრომის პირობებში. წინასწარი შემოწმებით აღმოჩნდა, რომ ტყიბულის რაიონში საუკეთესო ნიადაგია ჩაის კულტურისათვის. კოლმეურნეობებმა სწრაფად მოჰკიდეს ხელი ჩაის კულტურის გაშენებას. აქ ჩაის კულტურას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. მისი გაშენება 1930 წლიდან იწყება. ამ ოთხი წლის განმავლობაში აქ 775 ჰექტარზე გაშენდა ჩაი. წელს ჩაის ბუჩქებმა უკვე მოგვცეს პირველი მოსავალი, რომელიც გადამუშავდა რაიონისავე საკუთარ ჩაის ფაბრიკაში. მეჩაიე კოლმეურნეები უკვე დაადგნენ შეძლებული ცხოვრების გზას. ჯურნის ორპირის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში საშუალოდ თითეულმა კოლმეურნემ შრომა - დღეზე მიიღო 150—180 ფუთი პური.

წარმატებები მოპოვებულია ხილის ბაღების გაშენების დარგშიც. ტყიბულში სათანადო პირობებია ხეხილის გაშენებისათვის. ბაღების გაშენებაც 1930 წლიდან დაიწყო. დღემდე 950 ჰექტარი ბაღია გაშენებული.

ტყიბულის რაიონის კულტურულმა და ეკონომიურმა აღმავლობამ მოითხოვა საგზაო მშენებლობის გაძლიერება. დაიწყო ქუთაის-ტყიბულ-ნაქერალას გზის მშენებლობა. დღემდე გზის მნიშვნელოვანი ნაწილი არის გაკეთებული. სასოფლო გზებს შორის გაკეთებულია ორპირი—გურნის ახალი გზა, რომლის სიგრძე დაახლოვებით 9 კილომეტრს უდრის. გზების შეკეთება ფართოდ მიმდინარეობს ცალკეულ სოფლებში.

ტყიბულის რაიონში შემოღებულ იქნა საყოველთაო სავალდებულო სწავლება პირველ და მეორე საფეხურის სკოლებში. ამჟამად სკოლებში სულ —7.465 მოსწავლეა ჩაბმული. (1928 წელს მოსწავლეთა რიცხვი 2.100-ს უდრიდა). გაფართოვდა სკოლების რიცხვიც; 1928 წელს 21 ოთხწლედი იყო. ახლა 34 არის. გარდა ამისა რაიონში არის 17 არასრული საშუალო სკოლა. გაიხსნა საშუალო განათლების სკოლები ორპირისა და ტყიბულში.

ტყიბულის რაიონს აქვს ისეთი მეტად სერიოზული და ფართო მნიშვნელობის წარმოება, როგორიც არის ქვანახშირის მაღაროები. დღითიდღე იზრდება ტყიბულის მაღაროები. იზრდება ნახშირის ამოღებაც. 1913 წელს ამოღება 72.000 ტონას უდრიდა, 1931 წელს—143.900 ტონას, 1933 წელს—180.000 ტ. ხოლო მიმდინარე წლის თერთმეტ თვეში ამოღებულია 221.300 ტონა. მაღაროების მექანიზაციისათვის გადადებულია 4.500.000 მანეთი. დაჩქარებული ტემპით წარმოებს მუშაობა ტყიბულში რაიონჰესის აგების მშენებლობისათვის.

ყველასათვის შესამჩნევად გაუმჯობესდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები. ამ ბოლო დროს აგებულია მუშათა 23 ახალი საერთო საცხოვრებელი. მაღაროს მუშები უზრუნველყოფილი არიან ბინებით, განათებით, გათბობით და სხვა. მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებაში ჩამორჩენა არის, რაც გამოწვეულია ჯერ კიდევ სუსტი მუშაობით ამ დარგში. საბჭოების რაიონულმა ყრილობამ რაიონის მშრომელთა ყურადღება უნდა გაამახვილოს ქვანახშირის გეგმების შესრულების ირგვლივ.

ვ. მერკვილაძე

ქ. გოგუაძე

მახარაძის რაიაღმასკომის თავმჯდომარე

მახარაძის რაიონი საბჭოების მე-7-ე ყრილობის წინ

მეჩვიდმეტე პარტიულ ყრილობის მიერ დასმული ამოცანების გადასაწყვეტად მახარაძის რაიონის სასოფლო საბჭოების წინაშე განსაკუთრებული სიმკვეთრით დაისვა ორგმასობრივი მუშაობის გარდაქმნა, საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცება, მესაქონლეობის აღმავლობის უზრუნველყოფა კომუნალური მშენებლობის ფართოდ გაშლა და სხვ. როგორ გადასწყვიტეს ეს ამოცანები მახარაძის სასოფლო საბჭოებმა?

მახარაძის რაიონში შედის 20 სასოფლო და ერთი საქალაქო საბჭო.

ორგმასობრივი მუშაობის გარდაქმნას რაიაღმასკომმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, რაიონში 120 სექციიდან და 60 სადეპუტატო ჯგუფიდან ბევრი ფორმალურად არსებობდა. ამ მდგომარეობას ხელს უწყობდა ის, რომ აღმასკომთან არ არსებობდა საორგანიზაციო განყოფილება. საორგანიზაციო განყოფილების ჩამოყალიბებამ და სათანადო კადრების შერჩევამ საშუალება მოგვცა ფართოდ გაგვეშალა ორგმასობრივი მუშაობა საბჭოებში, აგრეთვე საშუალება შეგვემოწმებინა თვითეული საბჭოს წევრის მუშაობა და მათი ავანგარდული როლი, შესრულების და კონტროლის რგოლებად გადაგვექცია თვითეული სექცია და ჯგუფი. ხშირად ამ შემოწმებას შედეგად მოყვებოდა ხოლმე საბჭოებიდან ულირსი წევრების გაძევება. (1934 წლის პირველ ივლისისათვის გაწვეულ იქნა საბჭოს წევრობიდან 73 წევრი უმოქმედობისა და კლასობრივი ხაზის დამახინჯებისათვის). ზოგან დაგვჭირდა დამატებითი სადეპუტატო ჯგუფების მოწყობა, (მსხვილ კოლმეურნეობებში, საწარმოო ბრიგადებში). საბჭოების წევრები მიმაგრებული იქნენ ცალკე ბრიგადებზე, შემოღებულ იქნა შესრულების შესამოწმებლად საკონტროლო რვეული, რაც იქცა მუშაობის სისტემად. საორგანიზაციო განყოფილება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სადეპუტატო ჯგუფებს შორის სოცშეჯიბრებას და ურთიერთ გამოცდილების გაზიარებას. რაიონული ხელისუფლების მუშაობის სტილის ადგილებისათვის გაცნობის და ცოცხალი ხელმძღვანელობის გაზრდის მიზნით, ხშირად ეწყობოდა რაიაღმასკომის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომები ადგილებზე (მერია, ცხემლისხიდი, მთისპირი), სადაც ვისმენდით სოფსაბჭოების, კოლმეურნეობათა გამგეობების და, ბრიგადირების მუშაობის ანგარიშს, ირჩეოდა საკოლმეურნეო მშენებლობის საჭირბოროტო საკითხები. ასეთმა პრაქტიკამ დიდი შედეგი გამოიღო. (აშენდა ხიდები, გაკეთდა გზები, გარემონტდა სკოლები და სხვ.).

რაიაღმასკომის მიერ შემოღებული იქნა ერთიანი საბჭოთა დღეები და შემუშავებულ იქნა მტკიცე ცხრილი სექციებისა და სადეპუტატო ჯგუფების მუშაობაში.

საკავშირო ცაკის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ჩაბმამ გააცხოველა ბრძოლა და მუშაობა ნაკისრ ვალდებულებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის. მუშაობის ასე გარდაქმნის საფუძველზე, რაიონი დიდი მიღწევებით ხვდება საბჭოების მე-7 ყრილობას.

საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში. წინათ მეფისა და მენშევიკების დროს აოხრებული, გაღატაკებული და წვრილ გლეხურ მეურნეობებად დაქუცმაცებული რაიონი, უკანასკნელ წლებში გადაიქცა ერთერთ მოწინავე კულტურულ რაიონად ჩაისა და ციტრუსოვან კულტურების ფართოდ განვითარების საფუძველზე. რაიონში 39 კოლმეურნეობაა, რომლებშიაც გაერთიანებულია მოსახლეობის 94,6 პროც. გვაქვს 7 საბჭოთა მეურნეობა, სადაც წამყვანი კულტურა არის ჩაი.

ამხ. სტალინის მითითებათა საფუძველზე ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ იქითკენ, რომ კოლმეურნეობები გაგვეწმინდა უცხო ელემენტებისაგან, შეგვერჩია და მოგვემზადებია კადრები, გაგვემტკიცებია შრომის დისციპლინა, რათა უზრუნველგვეყო კოლმეურნეობების სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება, „თვითეული კოლმეურნეობის ბოლშევიკურ კოლმეურნეობად და კოლმეურნის — შეძლებულად გადაქცევა“.

მახარაძის რაიონი ძირითადად წარმოადგენს ჩაის კულტურის რაიონს. ამიტომაც ბრძოლა ჩაისათვის — ჩაის გეგმების შესრულებისათვის, ეს არის ყოველი საბჭოს, მისი ხელმძღვანელის, საბჭოს აქტივის ღირსებისა და სახელის საქმე. დადგენ თუ არა ჩვენი სასოფლო საბჭოები ამ ამოცანების სიმაღლეზე. ამას მჭერმეტყველურად ლაპარაკობს გეგმების შესრულება 1934 წლისათვის. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა უდრიდა 1.956.311 კილოგრამს, შესრულებულია — 2.135.369 კილოგრამი, ე. ი. 107,1 პროც.-ით. ამრიგად, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის დირექტივის განსახორციელებლად, რომ ამიერ - კავკასიამ მეორე ხუთწლედში ძირითადად დააკმაყოფილოს ჩაის მხრივ საბჭოთა კავშირი“ — რაიონი ბოლშევიკურად იბრძვის.

საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცებამ ჩაის და ციტრუსების განვითარების საფუძველზე ჩვენი კოლმეურნეები დააყენა შეძლებული ცხოვრების გზაზე, წლითი-წლობით იზრდება მოსავალი და შემოსავალი შრომადღეებზე; აი, ერთი მაგალითი მხოლოდ.

ავიღოთ, გურიანთელი კოლმეურნე მელიტონ მეხუზლა, რომელიც კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამდე ითვლებოდა უკიდურეს ღარიბ გლეხად, ყიდულობდა წლიურად 30—40 ფ. სიმინდს, აკლდა ყოველგვარი საჭირო ავეჯი, არ ყავდა ძროხა, დადიოდა ქალამნით და სხვ. შევიდა კოლმეურნეობაში დღიდან ჩამოყალიბებისა, მუშაობს აქტიურად. 1931 წ. მთელმა ოჯახმა გამოიმუშავა 262 შრომადღე, 1933 წელს გამოიმუშავა 341 შრომადღე. ხოლო წელს დღემდე გამომუშავებული აქვს მთელ ოჯახს 409 შრომადღე. ყოველწლიურად იზრდება მისი ოჯახის შემოსავალი 1932 წელში მიიღო 1093 კილოგრ. სიმინდი 1841 კ. ხორბალი, 294 მანეთი ფულად. 1933 წელს მიიღო 2592 კილოგ. სიმინდი, 2728 კილოგრ. ხორბალი, ფულად 409 მან. კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ გადააკეთა ოდა სახლი 4 თვალად, აიშენა სამზარეულო, შეიძინა ძროხა, ოჯახის ავეჯი, 2 საწოლი, 4 ფარდა, იწერს სხვადასხვა გაზეთებს, ცხოვრობს კულტურულად.

ციტრუსოვან კულტურების განვითარების დარგში: ჩაის კულტურის განვითარებასთან ერთად რაიონში სათანადოდ ვითარდება ციტრუსოვანი კულტურებიც ამხ. ბერიას მითითების საფუძველზე რაიონმა ფართოდ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი, საგრძნობი მიღწევებიც გვაქვს ამ მხრივ.

1931 წლისათვის მანდარინის პლანტაციები რაიონში ითვლებოდა 144,8 ჰექტარზე, ხოლო ამჟამად მანდარინა გაშენებულია 270 ჰექტარზე. გვაქვს 15,7 ჰექტ. ლიმონი, 1 ჰექტ. ფორთოხალი, ამას გარდა რაიონში განაწილებულია 4.000 ცალი ლიმონი ყუთებში. ამ მეტად მნიშვნელოვან კულტურის ფართოდ დანერგვის მიზნით 1934-35 წლისათვის დამატებით ციტრუსები გაშენდება 90 ჰექტარზე.

მეცხოველეობის განვითარების დარგში: 1934 წ. დასაწყისისათვის რაიონში ითვლებოდა 1311 უძროხო კოლმეურნე, დაკონტრაქტებულია ოცი ნოემბრისათვის 1032 დეკეული, აქედან უკვე დეკეული ჩაბარდა 548 კოლმეურნეს, დარჩენილი 279 კოლმეურნეც წლის ბოლომდე მიიღებს დეკეულებს. ასე, რომ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ენერგიულად იბრძვიან ამხ. სტალინის მიერ დასმული ამოცანის განსახორციელებლად, რათა არც ერთი კოლმეურნე არ დარჩეს უძროხოდ. სახარე მოზვრები დაკონტრაქტებულია 1937 სული. გეგმა შესრულებულია 96,2 პროც., მოწყობილია სავარილებელი პუნქტები 51 მწარმოებელი ბუღით. და 73 მწარმოებელი კერატით; კოლმეურნეობის განსაზოგადოებული ჯოგები (ც. კ-ის ივნისის პლენუმის დადგენილების საფუძველზე გადაყვანილი იქნა ფერმების სისტემაზე. შექმნილია 18 სარძევე - სასაქონლო ფერმა, 8—კი შერეულ ტიპის ფერმა. მეღორეობის განვითარების მიზნით რაიონში კოლმეურნეობებთან მოწყობილია მეღორეობის კერები, რომლებშიაც დღეისათვის ითვლება 37 დიდი ღორი და 32 კერატი. ამასთან ერთად კოლმეურნეობებს გადეცათ სხვა რაიონებიდან შემოყვანილი ჯიშიანი 100 გოჭი, ამ დღეებში დამატებით გადაეცემა 15 სული წმინდა იორკშირის ჯიშის კერატები.

საგზაო მშენებლობის [illegible] მიღწევები აქვს რაიონს. გაკეთდა საავტომობილო [illegible] გეთ - ჯუმათი - სალა[illegible] თულებით—12 კილომე[illegible] გეთ - ლიხაური 6 კი[illegible] ლოლი - ეწერი - ნაგო[illegible] ლომეტრი. [illegible] სას მიმართულებით გა[illegible] ლომ. კაპიტალურად [illegible] სებული გზები, გაკეთდა [illegible] დი ხიდები (ცხემლისხი[illegible] რი, ნაგომარი). საგზაო [illegible] მა რაიონში შესრულ[illegible] პროც.

სასკოლო მშენებლ[illegible] რაიონში გაკეთდა 7[illegible] კოლო ოთახი, შერემონტდა 83 ოთახი, გაკეთდა ახალი პარტა 654, შეკეთდა 63, გაკეთდა სკამი 144, მაგიდები 40, შკაფი 13, დაფა 46, რაიონის სკოლების მიერ შეძენილი იქნა 3 სრულ კომპლექტიანი ფიზიკის კაბინეტი, 2—ქიმიის, 20 ბუნების მეტყველების, დამზადდა და მიტანილ იქნა სკოლებში ხუთმეტი სექტემბრისათვის 133 საჟენი შეშა, ნებაყოფლობითი გამოსაღების გზით რაიონში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში შეგროვილ და მთლიანად დახარჯული იქნა სასკოლო მშენებლობაზე 233,496 მანეთი. ჩატარდა სკოლის ეზოების შემოღობვა — გამწვანება, გალამაზება. სკოლებისათვის საწარმოო ნაკვეთების გამოყოფა.

ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმე იდგა ჩვენ საბჭოების ყურადღების ცენტრში, 1934 წ. სამი კვარტალის გეგმა შესრულდა 106,3 პროცენტით.

მეოთხე კვარტალის გეგმის ვადაზე შესრულებისათვის დაკვრითი წესით მიმდინარეობს მუშაობა.

საქალაქო მეურნეობის განვითარების დარგში უკანასკნელ დრომდე ქ. მახარაძე (ყოფილი ოზურგეთი) მეტად ჩამორჩენილი იყო, გასულ წელს ამხ. ლავრენტი ბერიას გამოსვლის შემდეგ ტფილისის საბჭოს პლენუმზე საბრძოლო ამოცანად დავისახეთ ჩვენი ქალაქის რეკონსტრუქცია. ამ მხრივ ჩატარდა მეტად სერიოზული მუშაობა. დამ[illegible]

[illegible]

მახარაძეს აქვს კაპიტალურად გაკეთებული მშვენიერი გზები, მიმდინარეობს წინასწარი სამუშაოები, ორჯონიკიძის ქუჩის მოასფალტებისათვის. საგრძნობი მუშაობა არის ჩატარებული ქალაქის გამწვანების საქმეშიაც. ქალაქის და მის გარეუბნებში გაშენებულია 4 ახალი ბაღი, ქუჩებში დაირგო 14.000 ძირი დეკორატიული მცენარე, ამ საქმეზე გახარჯულია 48,000 მან.

რაიონში ჩატარებულმა საბჭოთა არჩევნებმა კიდევ უფრო მეტად განამტკიცა და გააძლიერა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოები სოფლად. საბჭოებში არჩეულ იქნენ საუკეთესო გამოცდილი დამკვრელი მუშები და კოლმეურნეები. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოების არჩევნებს საუკეთესოდ მომზადებული შეხვდა, როგორც რაიონი, ისე თვითეული საბჭო, განსაკუთრებით საუკეთესოდ ჩაატარეს არჩევნები ძიმითის სასოფლო საბჭომ (დასწრება 96,5 პროც. უდრიდა); სილაურის (97,5 პროც.), მელექედურის და სხვ. გაიზარდა ქალების აქტივობა. 2 ქალი არჩეულ იქნა საბჭოს თავმჯდომარედ, რომლებმაც უკვე წარმატებით დაიწყეს მუშაობა ახალ საბჭოში. საბჭოს წევრ ქალთა რაოდენობა გასულ არჩევნებთან შედარებით გაიზარდა 6 პროცენტით.

ჩვენი რაიონის ახალ არჩეულ საბჭოების წინაშე დგას მეტად დიდი ამოცანები: საკოლმეურნეო მშრომელების შემდეგი განმტკიცების ჩაის და, [illegible]

სამტრედიაში ჩაის კულტურას ბედი არ წყალობს

(„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

სამტრედიის რაიონისათვის წელს ჩაის დარგში არც ისე დიდი დავალება მიეციათ: 30 ჰექტარზე ნიადაგის მომზადება ახალი პლანტაციისათვის, 10 ჰექტარზე დალუპული ნარგავების აღდგენა, 12-ზე კაპიტალური რემონტი, 35-ზე მიმდინარე რემონტი, 250 ჰექტარზე საზამთრო გადაბარვა და აგრეთვე სასუქის შეტანა—აი მთელი დავალება ჩაის დარგში.

გავიდა შემოდგომის სამივე თვე. დადგა ზამთარი. ეს დავალება კი სამტრედიელებმა ჯერჯერობით ნახევრადაც ვერ შეასრულეს.

15 დეკემბრისათვის რაიონის კოლმეურნეობებს 9 ჰექტარი მიწა ქონდათ მომზადებული 30-ის ნაცვლად.

ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს. პირველად მოვისმინოთ რაიონის ხელმძღვანელთა აზრი ამ მიზეზების შესახებ.

მ. ტ. სადგურში ასე ამბობენ: კოლმეურნეობებში ფართობი არ გვქონდა. უნდა გამოგვეძებნა მიწები, რომლებიც ჩაისთვის გამოდგებოდა. ეს მიწა მოწყობას მოითხოვდა. მიწათმოწყობის პროექტი კი მიწსახკომიდან გვიან მივიღეთ.

მეორე მიზეზი:

— სამტრედიის ნიადაგი ისეთია, რომ უმელიორაციოდ ჩაის ნიადაგის მომზადება ფუჭი ოცნებაა. სამელიორაციო სამუშაოები გეგმაში არ გვქონდა გათვალისწინებული და ამან შეგვაჩერაო.

ამას ამბობენ მ. ტ. ს-ის დირექტორი ამხ. შანიძე და მისი პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. სიხარულიძე. მათი ფიქრით ეს არის ჩაის სამუშაოთა ჩამორჩენის მიზეზი. ჩვენ კი სულ სხვა და ნამდვილ მიზეზს დავასახელებთ. ის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ აქ არ აფასებენ ჩაის კულტურას. ამბობენ — სამტრედიის რაიონში ჩაი არ ხარობსო და ამას ადასტურებენ იმით, რომ პასპორტიზაციის ჩატარების შედეგად აქ დაწუნებული იქნა ჩაის მთელი რიგი არასწორად გაშენებული პლანტაციები.

რა უნდათ ამით თქვან სამტრედიელ ამხანაგებს?! არაფერი იმაზე მეტი, რასაც ამბობენ: — ჩაის კულტურის განვითარება ჩვენს რაიონში არ შეიძლება, ტყუილად იხარჯება თანხები, უმჯობესია ამ საქმეს თავი მივანებოთო.

და მაინც კითხვა:

იქნებ მართლები არიან, იქნებ მართლაც არ ხარობს ჩაი სამტრედიის რაიონში? წადით, დაათვალიერეთ პლანტაციები სოფ. ეწერში, ჯიხაიში, ტოლებში, ჭოგნარში და თქვენ ნახავთ, დარწმუნდებით, რომ სამტრედიელი ამხანაგები არ არიან მართალნი. ჩაის კულტურა სამტრედიის მთელ რიგ სოფლებში მშვენივრად ხარობს, მხოლოდ მოვლაა საჭირო. სინამდვილეში კი აქ არ უვლიან პლანტაციებს.

ფაქტები: 12 ჰექტარზე პლანტაციის კაპიტალური რემონტი უნდა ჩატარებულიყო და 5 ჰექტარზე ჩაატარეს. 35 ჰექტარზე მიმდინარე რემონტი იყო საჭირო. 15 დეკემბრისათვის 4 ჰექტარი იყო გაკეთებული. 250 ჰექტარზე საზამთრო გადაბარვა უნდა ჩაეტარებიათ, სინამდვილეში 163 ჰექტარი გადაბარეს.

სასუქი? 140 ჰექტარია გადაბარული, აქედან მინერალური სასუქი მხოლოდ 5 ჰექტარზე შეიტანეს.

ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ზერელად უყურებენ ჩაის პლანტაციების დაცვას. სოფ. გომნატეხების კოლმეურნეობამ შარშან 31 ჰექტარი ჩაის ფართობი შემოღობა. წელს ამ ღობის ნახევარი უკვე აღარაა. რა იქნა, სად წავიდა ღობე? კითხეთ ჩაის პლანტაციის მომვლელებს ტიმოთე ხახიშვილს და იუსტინე ჯინჭარაძეს. კითხეთ, რა გიპასუხონ.

— რა ვიცი, რა იქნა, ალბათ ვინმე წაიღებდა და შეშად იხმარდაო.

ხახიშვილის, ჯინჭარაძის და ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარის ჩაჩუას უყურადღებობის გამო „ჩაის პლანტაცია ბილიკებითაა დასერილი. მგზავრების ფეხქვეშ ითელება ჩაის ბუჩქები და რაც მთავარია, ფართობში საქონელი დადის". ასე წერენ გლეხკორები პოლიტგანყოფილების გაზეთ „კოლმეურნის ბრძოლის" ფურცლებზე.

უფრო ცოცხალი ფაქტი 12 დეკემბერს ჩვენი თვალით რომ დავინახეთ.

ჯიხაიში, სტალინის სახ. კოლმეურნეობაში, ჩაით ამწვანებულ ფართობში ხარი ძოვდა ბალახს ბუჩქები მის ფეხქვეშ ითელება. ვაცნობეთ სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს — დავით ხვიჩიას. მან კაცი აფრინა ნაკვეთის მცველ მინა დარჯანიასთან. დარჯანია გაიქცა ხარის სანახავად და, ნუ იტყვით თავის „წიქარა" კი აღმოჩნდა.

ეს ცოტაა..

ეწერში, ამხ. ბერიას სახ. კოლმეურნეობის ჩაის ერთ პატარა ნაკვეთზე იმავე დღეს ჩვენ ვნახეთ 8 სული საქონელი. არ გჯერათ? კითხეთ აგროტექნიკოსს დავით არველაძეს, ან მიშა ჩიქოვანს, კითხეთ ბრიგადირ ბიქტორ მახიძეს, რომლებიც ჩვენ ცოტათი აქეთ შემოგვხვდნენ და, რომელთაც მივუთითეთ — პლანტაციიდან საქონელი გამოერეკათ. მხოლოდ ნუ კითხავთ ჩაის პლანტაციათა დამცველ მიტროფანე ბუაძეს, ვინაიდან სულერთია ის ვერაფერს გეტყვით ამის შესახებ.

და ასე: არ უვლიან ჩაის ძველ პლანტაციებს, არ იბრძვიან ახალის გაშენებისათვის. ამას დავამტკიცებთ იანეთის კოლმეურნეობის მაგალითით. იანეთის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადაში (ბრიგადირი კოხრეიძე) 40 მუშა-ხელია, აქედან 22 მამაკაცია, 14 ქალი და 4 მოზარდი; ყავთ 18 ხარი. 12 დეკემბერს, რაიკომის მდივან ამხ. არობელიძესთან ერთად, ჩვენ ვნახეთ, რომ ამ ბრიგადაში მუშაობდა მხოლოდ ხუთიოდე მოხუცი კოლმეურნე.

✶

სამტრედია ცნობილია სამრეწველო მებოსტნეობის და მეფრინველეობის რაიონად. სამტრედიულ კვერცხს იცნობს არა მარტო საქართველო, არამედ ინგლისის ბაზარიც. სამტრედიული მარწყვი ბერლინშიც კი იყიდება. ცნობილია აქაური კომბოსტო, ბოლოკი, ნიორი, ღორის ხორცი.

და რაკი ცენტრალურმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა სამტრედიის რაიონის ხელმძღვანელებს ძირითად ამოცანად სოფლის მეურნეობის ამ დარგთა განვითარება დაუსახეს, მათ ჩაის კულტურა დაივიწყეს და ძველი პლანტაციების მოვლაც კი შეასუსტეს.

ნ. პაიჭაძე.

✶

რედაქციისაგან: ამხ. ნ. პაიჭაძის წერილში აღნიშნული ფაქტები მოწმობენ ჩაის კულტურის განვითარებისადმი სამტრედიის რაიონის მთელი რიგი ორგანიზაციების ყოვლად უმსგავსო დამოკიდებულებას. „კომუნისტი" მოელის საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მიერ გადამჭრელი ზომების მიღებას არსებული მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად.

სარეწაო კავშირი სუსტად ემზადება პურით ვაჭრობისათვის

სარეწაო საბჭომ მთელ თავის სისტემაში პირველ იანვრიდან ყოველდღიურად უნდა გამოაცხოს და გაყიდოს 21 ტონა პური, აქედან 15 ტონა ქართული (თონის) და 6 ტონა ფურნის, ბერძნული ლავაში.

სარეწაო საბჭოს გემოკვების სამმართველოს წინაშე დასმული ამოცანა არც ისე იოლია. ყოველდღიურად 21 ტონა პურის გაყიდვა რომ შესძლონ, ამისათვის საჭიროა ახლავე მთელი რიგი სამუშაოების ჩატარება. (დარაბების შეძენა საცხობებისათვის და გასაყიდი წერტებისათვის, სასწორების და საწონების შეძენა, კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ჩატარება, პურისმცხობლების და გამყიდველთა კადრის შემოწმება და შერჩევა). რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით.

უნდა ითქვას, რომ სარეწაო საბჭოს გემოკვების სამმართველოში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. აი ფაქტებიც: პირველ იანვრიდან გათვალისწინებულია მთლიანად 44 წერტის გახსნა, აქედან 36 უნდა იყოს თონე. დღევანდლამდე სადარაბო სექციისაგან ჩაბარებული აქვთ მხოლოდ 8 წერტი სტალინის რაიონში, 4 წერტი ლენინის რაიონში და 11 წერტი ორჯონიკიძის რაიონში (სულ 23 წერტი).

15 წერტიდან, რომელიც „26" კომუნარის რაიონში უნდა გაიხსნას ჯერ არცერთი არა აქვთ ჩაბარებული. უკვე ჩაბარებული წერტები საჭიროებს ზოგი მიმდინარე და ზოგი კი კაპიტალურ რემონტს.

კაპიტალურ რემონტს (თონის აშენება, და დაზიანებული თონეების შეკეთება) საჭიროებს 7 წერტი. აქედან მხოლოდ სამგან არის დაწყებული მუშაობა. დანარჩენები კი ელიან „მზრუნველ ხელს". (ასეთი მდგომარეობაა იმ წერტებშიაც, რომლებიც საჭიროებენ მიმდინარე შეკეთებას (კედლების შეღებვა, მინების ჩასმა და სხვ.).

აღსანიშნავია აგრეთვე რაიონული სადარაბო სექციების უთავბოლო მუშაობა, რომელიც ხელს უშლის სავაჭრო წერტების შეკეთების დროზე დამთავრებას. მაგალითად: პლეხანოვის პროს. № 122 და ბრძოლის ქ. № 216 სახლების დარაბები უნდა გადაეცათ გემოკვების სამმართველოს სისტემაში შემავალ არტელ „რაჭისთვის", მაგრამ პლეხანოვის ქუჩის დარაბაში ცხოვრობს და პურით ვაჭრობს კერძო პირი ვინმე კრაწაშვილი. ხოლო ბრძოლის ქუჩის დარაბა სტალინის რაიონის სადარაბო სექციის გამგე მემარნიშვილმა ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირს გადასცა.

საკანდიდატო ნაწარმოებთა პირველი ფაბრიკის რაციონალიზატორები—დამკვრელი კომკავშირელები ი. მიქაბერიძე და ს. მელქუმოვი, რომელნიც დაჯილდოებული იქნენ კოსტიუმებით.

Δ Δ

ამ უკანასკნელს ეს ესაჭიროებოდა პურის გასაყიდ წერტად, რისთვისაც შიგ არსებული თონე დაანგრია. ეს მაშინ, როდესაც არტელ „რაჭას" ესაჭიროება თონეები და მათ აშენებაზე ხარჯავს ასეულ მანეთებს.

ასეთი „მუშაობის" შედეგად გემოკვების სამმართველოს დღეისათვის მხოლოდ 3 წერტი აქვს მზად 3 წერტი 36-დან! განა ეს აშკარად არა ლაპარაკობს მათ მოუქნელ და უთავბოლო მუშაობაზე?

გარდა ქართული პურისა, გემოკვების სამმართველომ ყოველდღიურად უნდა გამოუშვას ბაზარზე აგრეთვე ბერძნული ლავაშიც 6 ტონის რაოდენობით. ამისათვის გემოკვების სამმართველოს აქვს 8 ფურნე. იქ ფიქრობენ, რომ პირველ იანვრიდან ყველა უნდა ამუშავდეს, მაშინ, როდესაც ერთ ფურნეს სამცვლიანი მუშაობით ყოველდღიურად შეუძლია გამოუშვას 6 ტონა პური. თუ ეს ასეა, რატომ არ შეიძლება იმუშაოს მხოლოდ ერთმა ან ორმა ფურნემ, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს გასაყიდი პურის მთელი რაოდენობის გამოცხობას.

„კი, მაგრამ ტრანსპორტი არა გვაქვს პურის გადასაზიდათო" — განაცხადა გემოკვების სამმართველოს უფროსმა ამხ. კალმახელიძემ. მართალია თუ არა ეს? არა. იმიტომ, რომ ტრანსპორტი საჭიროა აგრეთვე ფქვილის მისატანად ცალკცალკე ფურნეებში. თუ იგივე სატრანსპორტო საშუალება გამოყენებული იქნა ერთი ფურნიდან გამომცხვარი პურის გადასატანად გასაყიდ წერტებში, ამით ტრანსპორტზე მოთხოვნილება თითქმის არ გაიზრდება. ზედმეტია ლაპარაკი სატრანსპორტო საშუალებების უქონლობაზე აგრეთვე იმიტომაც, რომ სარეწაო საბჭოს სისტემაში შემავალი სატრანსპორტო სამმართველო ტრანსპორტით უზრუნველჰყოფს მთელ რიგ ორგანიზაციებს და არ გაუძნელდება გემოკვების სამმართველოს მომსახურებაც.

დაბოლოს კადრების საკითხი.

ეს საკითხი მთლიანად თვითნებაზეა მინდობილი. სარეწაო საბჭოს ხაზით გასახსნელ პურის საცხობებში და სავაჭრო წერტებში პირველ იანვრიდან საჭირო იქნება 160—200 პურისმცხობელი და გამყიდველი, ამიტომ ამთავითვე შერჩეულ უნდა იქნეს პატიოსანი და ენერგიული მუშაკები.

როდესაც შევეკითხეთ ამხ. კალმახელიძეს, თუ რა ზომებია მიღებული კადრების შეგროვებაზე, მან მხრების აწევით გვიპასუხა: „რა საჭიროა მაგაზე ფიქრი, რაჭველებმა პურის ცხობის მეტი რა იციანო. ეს ფაქტი აშკარად ლაპარაკობს კადრების მნიშვნელობის შეფასების უგულებელყოფაზე.

ცოტა უფრო მეტია გაკეთებული არტელ „რაჭაში", იქ შედგენილია სამუშაოზე ასაყვან პირების სია, მაგრამ შერჩევა და შემოწმება ჯერაც არაა დაწყებული. რადგან მათაც ღრმად სჯერათ რომ „რაჭველებმა პურის ცხობა იციან" ხოლო მათ რაიმე მომზადებაზე და გადამზადებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

დარჩენილი დრო მეტად მცირეა. ჩასატარებელი სამუშაო კი მეტის მეტად დიდი. მუშაობის ასე გაგრძელება არ შეიძლება. საჭიროა მეტი ოპერატიული და მოქნილი მუშაობა, რომ მზად ვიქნეთ პირველი იანვარს პურის თავისუფალი ვაჭრობის გაშლისათვის.

ალ. ბიაშვილი.

Δ Δ

ხაქკავშვაჭრობის პურის მაღაზია № 45-ს უკეთებენ რემონტს.

სურათზე: ქვევით—დურგალი მუშაობის დროს. ზევით—„კუსტკომბინატის" № 88 საცხობის საუკეთესო დამკვრელი პურის მიმღები ამხ. ლ. მარტიროსოვა.

ხონი მზად არის პურით თავისუფალი ვაჭრობისათვის

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ხონის რაიონში დაიწყო—სათანადო პრაქტიკული მუშაობა პურის თავისუფალი ვაჭრობის გაშლისათვის.

სამომხმარებლო კოოპერაციამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი საწყობების, სავაჭრო წერტების და ფურნეების მოწყობას. პურის თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებით ხონში 1-ლი იანვრიდან ყოველდღიურად უნდა გამოცხვეს 6 ტონა პური, დღემდე კი ცხვებოდა—1,2 ტონა.

შოკური მუშაობით 17 დეკემბრისათვის სრულ წესრიგში იყო მოყვანილი ორი ფურნე, რომელშიც გამოცხვება 5,9 ტონა პური. გარდა ამისა, ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფურნე ყოველდღიურად გამოუშვებს 1,2 ტონა პურს. ამრიგად, ქალაქის მუშა-მოსამსახურეები მთლიანად უზრუნველყოფილი იქნებიან პურით. 17 დეკემბრისათვის მზად იყო პურის 7 სავაჭრო წერტი, სადაც ყოველდღიურად გაიყიდება 6,5 ტონა პური.

გაუკეთდა რემონტი პურის ფქვილის საწყობებს, რომელთაც ტევადობა უდრის 400—550 ტონას.

მწვავედ დგას რკინისგზის სადგურიდან ფქვილის გადმოზიდვის საკითხი. ხონი რკინისგზის უახლოეს სადგურიდან დაშორებულია 21—22 კილომეტრით. სადგურიდან ხონამდე ყოველდღიურად უნდა გადმოიზიდოს 9—10 ტონა ფქვილი. რაიკოოპკავშირს არა აქვს საკუთარი მექანიკური ტრანსპორტი. ურმებით გადმოზიდვა გაართულებს ტვირთის გადმოტანას და ამასთან მისი ხარჯები მძიმე ტვირთად დააწვება კოოპერაციას. ამ მდგომარეობას ამთავითვე უნდა მიექცეს ყურადღება.

ქალაქის გარდა, გამომცხვარი პურის თავისუფალი ვაჭრობა იწარმოებს ყველა სასოფლო საბჭოების ცენტრებში. ადგილებზე ფურნეები, საწყობები, და სავაჭრო წერტები მომზადებულია. მხოლოდ სამ სასოფლო საბჭოში (დედალაური, ნახახულევი და გორა-ჯიხაიში) არ არის ფურნეები. ნახახულევის სას. საბჭო გამომცხვარ პურს მიიღებს ქ. ხონიდან. რაც შეეხება დედალაურსა და ჯიხაიშს, ამ სოფლებში გამოცხვარი პურის მაგივრად გაიყიდება ფქვილი. მიღებულია ზომები სოფ. დედალაურში თონეს და ჯიხაიში ფურნეს ასაშენებლად.

მთელ რაიონში იმუშავებს 12 ფურნე, 12 სპეციალური და 12 შერეული სავაჭრო წერტები. აღნიშნულ წერტებში ყოველდღიურად გაიყიდება 8—9 ტონა პური.

ხონის რაიონი მზად არის 1-ლ იანვრიდან დაიწყოს პურის თავისუფალი ვაჭრობა და უზრუნველყოს ხონის მუშა-მოსამსახურეთა და მშრომელთა მოთხოვნილება პურზე.

ა. რეხვიძე.

მაუდის ფაბრიკამ შეასრულა წლიური გეგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისალმება ამხ. ბერიას

მაუდის ფაბრიკის მუშათა მიტინგი, 1934 წლის გეგმის შესრულების დღესასწაულის დღეს, მხურვალე სალამს გიგზავნის შენ — ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელს.

მაუდის ფაბრიკამ, რომელიც წარსულში „სახელგანთქმული" იყო ცუდი მუშაობით როგორც გამოშვებული პროდუქციის ოდენობის, ისე მისი ხარისხის მხრივ, 1934 წელს სახელოვნად შეასრულა თავისი გეგმა და ამავე დროს გადავიდა საუკეთესო ასორტიმენტზე.

მაუდის ფაბრიკის მუშათა კოლექტივი, ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალები და ყველა მუშაკი სიტყვას გაძლევენ შენ, რომ 1935 წელს გამოუშვებენ უფრო უკეთეს ქსოვილს.

მთელ ქვეყანაზე საუკეთესო ქსოვილისათვის ბრძოლაში ტფილისის მაუდის ფაბრიკა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით პირველ ადგილს დაიკავებს.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს პარტიის გენერალური ხაზის საუკეთესო გამტარებელს ამიერ-კავკასიაში, ჩვენს საყვარელ ლავრენტი ბერიას! (ადს).

გუშინ, მაუდის ფაბრიკაში

ნაშუადღევის სამ საათზე საუკეთესო დამკვრელმა ამხ. შალვა სვანიშვილმა აუშვა საყვირი, ნიშნად 1934 წლის გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისა.

კამვოლურ საამქროში შეიკრიბა ორივე ცვლის 1500-ზე მეტი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მოსამსახურეები.

საზეიმოდ მორთულ საამქროში, რომელშიაც გამარჯვების ჰიმნს უკრავს სასულე ორკესტრი, გამართულია ტრიბუნა.

სტალინის სახელობის რაიკომის მდივანი ამხ. არუთინოვი და მისი მოადგილე კარნიცკი, რაისაბჭოს თავმჯდომარე ხუჯიაშვილი, ფაბრიკის ხელმძღვანელი ამხანაგები ადიან ტრიბუნაზე.

მუშათა სახელდახელო მიტინგს ხსნის ფაბრიკის პარტკომი — ამხ. ოგანეზოვი. დირექტორი ამხ. ალიბეგაშვილი უამბობს მიტინგს იმის შესახებ, რომ ფაბრიკამ 1934 წლის განმავლობაში უკვე მისცა ქვეყანას 10 მილიონ 140 ათასი მანეთის მზა პროდუქცია, 1926-27 წლის უცვლელ ფასებში. რომ ტფილისის მაუდის ფაბრიკამ 20 დეკემბრამდე გამოუშვა 979 ათას 193 მეტრი შალი და მაუდი, ნაცვლად წლიური გეგმის 964 ათას 722 მეტრისა, რითაც გეგმა 101,5 პროცენტით შესრულა.

მიტინგს ფაბრიკის პირველი საწარმოო გამარჯვების გამო მიესალმა, სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. არუთინოვი, რაისაბჭოს თავმჯდომარე ხუჯიაშვილი და დამკვრელი მუშები — ამხ. ბუდაგაშვილი, ახვერდოვა, მჭედლიშვილი, ზილოვი, კაპანაძე, შილაია, ზაიაჯიანი.

მიტინგმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხ. ბერიას, საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტს და სტალინის რაიკომს.

საათის ოთხი... საყვირი... მიტინგი დამთავრდა და მეორე ცვლამაც დაიწყო ნორმალური მუშაობა.

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება

რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიებისა, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ.

„უპროექტო და უხარჯთაღრიცხვო მშენებლობის მოსპობის შესახებ" სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1934 წ. სექტემბრის 3-ის თარიღით და 2050 №-ით გამოცემული დადგენილებისა (სსრკ. კან. კრ. 1934 წ. № 45, მუხ. 354) და „მშენებლობის სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ" იმავე სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1934 წ. სექტემბრის 23-ის თარიღით და 2437 №-ით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1934 წ. № 54, მუხ. 414) შესაბამისად და ამ კანონების განსავითარებლად — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებული იქნეს, რომ რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მშენებლობის იმ სატიტულო სიებს (სახელობითი სიები), რომლებიც დასამტკიცებელი არ არის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ან ა.-კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატის ან ცენტრალური დაწესებულების მოხსენებით და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასკვნით.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის წესისამებრ დასამტკიცებელ სატიტულო სიებში შეტანილ უნდა იქნეს რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მშენებლობის (როგორც ახლის, ისე გარდამავალის) ყველა ობიექტი.

შენიშვნა: სატიტულო სიებში შესატან ობიექტებს მიეკუთვნება:

ა) ახალ საწარმოთა, ნაგებობათა, შენობათა და გზათა მშენებლობა;
ბ) მათი რეკონსტრუქცია;
გ) მოქმედ საწარმოში ახალი ცეხებისა და აგრეგატების აგება;
დ) კაპიტალური რემონტი.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დასამტკიცებელი სატიტულო სიები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს:

ა) ობიექტის მშენებლობის ადგილის შესახებ;
ბ) მისი საპროექტო ძალოვნების შესახებ;
გ) მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების დროის შესახებ;
დ) მშენებლობის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შესახებ;
ე) დასაგეგმი წლის კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობის შესახებ;
ვ) მშენებლობის დაფინანსების წყაროების შესახებ.

4. განისაზღვროს, დაწყებულის 1935 წლის მშენებლობის ახალი ობიექტებიდან, რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის კაპიტალური მშენებლობის ტექნიკური პროექტებისა და ამ პროექტების ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების შემდეგი წესი:

ა) გენერალურ გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებს იმ უდიდესი მნიშვნელობის მქონე ობიექტებისას, რომლების სიასაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აწესებს სატიტულო სიების დამტკიცების შემდეგ, ამტკიცებს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო, საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატისა ან ცენტრალური დაწესებულების მოხსენებისამებრ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასკვნისამებრ, ხოლო ამ გენერალური გეგმების ტექნიკურ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებენ საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისრები ან ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელნი;

ბ) რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მშენებლობის (ამა მუხლის „გ" და „დ" პუნქტებში აღნიშნულთა გარდა) იმ ობიექტების პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს, რომლებიც შეტანილია დამტკიცებულ სატიტულო სიებში, ამტკიცებენ საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისრები და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელნი;

გ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ქვემდებარე და დამტკიცებულ სატიტულო სიებში შეტანილი მშენებლობის ობიექტების პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებენ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები;

დ) არასამრეწველო მშენებლობის ხაზით (კომუნალური, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საადმინისტრაციო) ტფილისის საქალაქო საბჭოს ქვემდებარე და დამტკიცებულ სატიტულო სიებში შეტანილი ობიექტების პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებს ტფილისის საქალაქო საბჭო.

შენიშვნა 1. ტექნიკურ პროექტებს და ხარჯთაღრიცხვებს მშენებლობის იმ ობიექტებისას, რასაც ანხორციელებენ ის სახალხო კომისარიატები, რომელთაც თავიანთ აპარატში არა ჰყავთ ამ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განმხილველი ორგანოები (მე-6 მუხლი), ამტკიცებენ სათანადო სახალხო კომისარიატები (სამრეწველო მშენებლობის ხაზით—ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი, კომუნალური, საბინაო და საადმინისტრაციო მშენებლობის ხაზით — კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, სასკოლო მშენებლობის ხაზით — განათლების სახალხო კომისარიატი, სავადმყოფოთა მშენებლობის ხაზით — ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, ურელსო ტრანსპორტის მშენებლობის ხაზით — გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო, სავაჭრო-სასაწყობო მშენებლობის ხაზით შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი და სხვ.).

შენიშვნა 2. გარდამავალი მშენებლობის იმ ობიექტების ტექნიკური პროექტები და ხარჯთაღრიცხვები რომელთაც ტექნიკური პროექტები და ხარჯთაღრიცხვები არ ექნებათ სათანადო წესით დამტკიცებული ამ დადგენილების გამოქვეყნების დროისათვის, დამტკიცებულ უნდა იქნეს ამ მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

5. დაწესებულ იქნეს, რომ საწარმოებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს შეუძლიათ აწარმოონ მშენებლობისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობა და კაპიტალური მშენებლობის პროექტირება რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის ობიექტების ხაზით მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებადართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში და ამ სამუშაოთა იმ გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში, რაც დამტკიცებულია ამა დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ წესისამებრ.

საპროექტო ორგანიზაციებს უფლება არა აქვთ დასდონ ხელშეკრულებანი მშენებლობის იმ ობიექტების პროექტირების შესახებ, რომლებიც არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ პირობებს.

6. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის, მიწათმოქმედებისა, კომუნალური მეურნეობისა, განათლებისა, ჯანმრთელობისა და შინავაჭრობის სახალხო კომისარიატებს, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს, საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე ტფილისის საქალაქო საბჭოს მოაგვარონ თავიანთი აპარატები ამა დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ფუნქციების აღსრულებისათვის.

7. აიკრძალოს მშენებლობის დაფინანსება და აგრეთვე მშენებლობისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობისა და მშენებლობის პროექტირების დაფინანსება იმ ობიექტების ხაზით, რაც შეტანილი არ არის დადგენილი წესისამებრ დამტკიცებულ სატიტულო სიებში (ხოლო მოსამზადებელ სამუშაოთა და პროექტირების ხაზით—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური ნებართვის გარეშე), აგრეთვე, უკეთუ არ არსებობს სათანადო წესით დამტკიცებული ტექნიკური პროექტები, ხარჯთაღრიცხვები და გეგმები.

შენიშვნა. მშენებლობისა და მოსამზადებელი სამუშაოების პროექტირების დაფინანსება უპროექტოდ, უხარჯთაღრიცხვოდ და უგეგმოდ შეიძლება განსაკუთრებული ნებართვით, რაც გაიცემა თვითეულ ცალკე შემთხვევაში „კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების დროს გრძელვადიან დაბანდებათა ბანკების მიერ განსახორციელებელი კონტროლის წესის შესახებ" სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1933 წ. აპრილის 27-ის თარიღით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1933 წ. № 28, მუხ. 169).

8. აიკრძალოს კაპიტალური მშენებლობის დაფინანსება გრძელვადიან დაბანდებათა ბანკების გარეშე. დაეკისროს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სისტემატიური მეთვალყურეობა ამ წესის აღსრულებისათვის.

9. დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელნი და აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებათა ხელმძღვანელნი ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესების დარღვევისათვის მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სასამართლო წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით.

10. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას — წარმოუდგინონ ერთი თვის ვადაში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებული პროექტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა საქართველოს სსრ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებათა შესახებ, რაც გამომდინარეობს ამა დადგენილებიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
გ. თათეიშვილი.
1934 წ. დეკემბრის 16.
ტფილისი.

ა. შლემოვა ▽ ▽ ტფილისის კომიტეტის პარტკაბინეტის გამგე.

უფრო ავამაღლოთ პარტიული სწავლების ხარისხი

სექტემბრის 15-დან ტფილისის პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყო შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლება. ძირითადი საკითხი, რომელიც დაისახა თვითეული პარტორგანიზაციის წინაშე, მდგომარეობდა იმაში, რომ უფრო აემაღლებინათ პარტიის წევრთა იდეურ-პოლიტიკური დონე ამხ. სტალინის მიერ მე-17 პარტყრილობაზე მოცემულ მითითებებთან შეფარდებით.

ტფილისის კომიტეტის პარტიული კაბინეტის წინაშე, რომელიც წარმოადგენს პარტიული განათლების ლაბორატორიას, დასახულ იქნა ამოცანა ყოველმხრივი დახმარება გაეწია პარტიული ორგანიზაციებისათვის ამ საკითხის გადაჭრაში. პირველ ყოვლისა, ეს ეხებოდა პროპაგანდისტებთან მუშაობის დაყენებას, მათ წინასწარ მომზადებას მეცადინეობისათვის — პროპსემინარების, თეორეტიული ერთდღიურების, მეთოდური ერთდღიურების, როგორც მასობრივი, ისე ინდივიდუალური რეგულარული კონსულტაციის ფორმით.

პროპაგანდისტის მომზადება წრეში მუშაობისათვის, პროპაგანდისტის გარსახედის გაფართოება, მისი პასუხისმგებლობის გადიდება საკუთარი წრის მუშაობისათვის —ასეთია პროპსემინარების ამოცანა. პროპაგანდისტს, რომელიც არ ესწრება პროპსემინარებს, არ შეუძლია უზრუნველყოს პარტიული სწავლების საქმის დაყენების ხარისხი. სწორედ ამიტომ, დააწესა რა პროპსემინარების მეცადინეობის ერთიანი დღეები ტფილისში, პარტიის ტფილისის კომიტეტმა დაავალა ყველა პროპაგანდისტს ულაპარაკოდ დაესწრონ პროპსემინარებს.

პროპსემინარი არ უნდა გადაიქცეს ლექციად. პროპსემინარი უნდა იძლეოდეს მეთოდურ მომზადებას მეცადინეობისათვის. უნდა ამუშავდეს მორიგი თემების შინაარსი. აქამდის ჩვენ ვერ მოვახერხეთ იმის მიღწევა, რომ ყველა პროპსემინარი მუშაობდეს ამ მიმართულებით. დღემდე შემოდის საჩივრები პროპაგანდისტებისაგან, რომ პროპსემინარი იქცევა ლექციად, რომელიც ბევრს არაფერს აძლევს მათ. პროპაგანდისტი პროპსემინარისაგან მოელის მეთოდურ ხელმძღვანელობას და როცა ამ უკანასკნელს არ ღებულობს, აცდენს პროპსემინარს.

ტფილისის კომიტეტის პარტიულმა კაბინეტმა რაიონში ჩაატარა პროპსემინარების ხელმძღვანელთა მთელი რიგი თათბირები, რომლებზედაც ჩვენ დავსვით საკითხი მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ. ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც ჩვენ წავუყენეთ პროპსემინარების ხელმძღვანელებს, მეტწილად კვალიფიციურ ამხანაგებს, მდგომარეობდა იმაში, რომ მათ: 1) მეცადინეობა არ გადაექციათ ლექციად, არამედ გაეტარებიათ მეთოდური მომზადება მორიგი მეცადინეობისათვის. 2) თეორიული საკითხები დაეკავშირებიათ წარმოებაში მუშაობის პრაქტიკასთან. 3) კონტროლი გაეწიათ პროპაგანდისტების მუშაობისათვის ადგილებზე, ე. ი. დასწრებოდნენ თავისი პროპაგანდისტების მეცადინეობას წარმოებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხები სავსებით ნათელია, ჩვენ გვქონდა ფაქტები, როცა პროპსემინარების ცალკე ხელმძღვანელები ამ მოთხოვნებს განუხორციელებლად სთვლიდნენ. დამახასიათებელია საკანდიდატო სკოლების (ორჯონიკიძის რაიონი) პროფსემინართა ერთ-ერთი ხელმძღვანელის გამოსვლა, რომელსაც მიზანშეუწონლად მიაჩნდა თეორიული მასალის დაკავშირება წარმოებაში პრაქტიკული მუშაობის ფაქტებთან. მისი არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ მსმენელი — მუშა მასზე გაცილებით უკეთ იცნობს ამ საწარმოო მასალას და მისთვის გაუგებარი იქნება, რატომ ელაპარაკება მას გარედან მოსული კაცი ამ ნათელ თემაზე. რასაკვირველია, რაიკომი შეეცადა გაემარტა ამხანაგისათვის, რომ საკითხის ამგვარად დაყენებას არაფერი საერთო არ აქვს, როგორც პროპსემინარების, ისე პარტიული განათლების მთელი ქსელის ამოცანებთან. იყო შემთხვევები (სტალინის სახ. რაიონი), როცა პროპსემინარის ხელმძღვანელმა უარი თქვა დასწრებოდა თავის პროპაგანდისტთა წრეების მეცადინეობას ამისათვის მას საკმაოდ ბევრი მოტივი აღმოაჩნდა. სატრანსპორტო საშუალებათა უქონლობაც კი მოიმიზეზა.

პროპაგანდისტებმა ბარამიძემ და შაროკაძემ (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა) თავი დაანებეს პროპსემინარზე სიარულს, რადგან მუშაობის დაყენება მათ არ აკმაყოფილებდა.

პროპსემინარების მუშაობის ნაკლოვანებების შესახებ სწორ სურათს გვაძლევს მეცადინეობაზე დასწრება. მაგალითად, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის პროპაგანდისტი ამხ. მელნიკოვი პროპსემინარზე დაუსწრებლობას ხსნიდა იმით, რომ პროპსემინარზე კითხულობენ ლექციას, ხოლო ფაქტიური მასალა მას პროპსემინარის გარეშეც შეუძლია წაიკითხოს და აითვისოს. პროპაგანდისტმა განაცხადა, რომ პროპსემინარზე საჭიროა მითითების მიცემა, როგორ უნდა დაუკავშიროთ საკითხი საწარმოო [illegible], როგორ უნდა დავამუშაოთ იგი მეთოდურად, მარქსიზმის კლასიკოსთა რა მასალები უნდა შევიტანოთ თემის დამუშავებაში. მართლაც გამოირკვა, რომ დაწყებითი სკოლების პროპსემინარის ხელმძღვანელი ამხ. აზატიანი პროპსემინარის ნაცვლად კითხულობს ლექციას [illegible] დაგვეთანხმა, რომ საჭირო იქნება მუშაობის გარდაქმნა.

პროპსემინარი უნდა იძლეოდეს გეზს, როგორ უნდა დამუშავდეს თემა წრის მიხედვით. რამდენ საათზე უნდა განაწილდეს იგი. ამავე დროს არის ფაქტები, როცა ერთი თემის [illegible] ჩვენი წრეები 5—6 მეცადინეობას ანდომებენ.

მაგალითად, თემა „იმპერიალიზმი" ორჯონიკიძის სახ. [illegible] ერთ-ერთ დაწყებით [illegible] 6 მეცადინეობაზე [illegible]. როცა ცალკე დაწყებითი სკოლები ორჯონიკიძის რაიონში პროგრამით აქამდის გადიან მხოლოდ მეორე მეცადინეობას. მაგ. ტფილისის საბჭოსთან არსებული წრის (პროპაგანდისტ ამხ. გოგუა) მას ვერ გასცილდა,

მთელი რიგი პროპსემინარები იძლევიან მუშაობის კარგად დაყენების ნიმუშებს, მაგალითად, ლენინის რაიკომთან არსებული პროპსემინარი საკანდიდატო სკოლებში. ეს ჩანს პროპსემინარის მეცადინეობაზე დასწრების პროცენტიდან და საკანდიდატო სკოლების ცალკე პროპაგანდისტთა მუშაობიდან. აქ ვხედავთ თემების მკაფიო განაწილებას, პროპსემინარის ხელმძღვანელი ამხ. მაჩაიძე კონტროლს უწევს თავის პროპაგანდისტთა მუშაობას.

სტალინის რაიონში ჩვენ გვაქვს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა გულდასმით დამუშავების ფაქტები საკანდიდატო და დაწყებითი სკოლების ხაზით. თამბაქოს ფაბრიკა № 1-ში პროპაგანდისტს ამხ. კამალოვს, რომელიც ამუშავებს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, აქვს არა მარტო თემის დამუშავების გეგმა, არამედ აგრეთვე დასამუშავებლად მომზადებული ბარათები ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. პლენუმის გადაწყვეტილებათა დამუშავებას უთმობს 3 მეცადინეობა. ამხ. კამალოვი დაწვრილებით არჩევს წრის მსმენელთა მიერ წამოყენებულ ყველა საკითხს. პარტიული განათლების სტალინის სახლმა შესძლო ყველა პროპაგანდისტის დროულად უზრუნველყოფა პლენუმის მასალებით, დიაგრამებით, ცალკე საკითხებზე და სხვა დამხმარე მასალებით.

განსაკუთრებული ტიპის სემინარია — მიმდინარე პოლიტიკის წრეების პროპსემინარი. იგი მოწყობილია ტფილისის მაშტაბით ტფილისის კომიტეტის პარტკაბინეტთან. ამ სემინარის მეცადინეობის თვითეულ დღემდე გადის 130-დან 170 კაცამდე რუსულ და ქართულ ჯგუფში. თვითეულ პროპსემინარისთვის პარტკაბინეტი ამზადებს დამხმარე მასალას—ფაქტებს, ციფრობრივ მასალას, ადგილობრივი გამოცდილების ნაწყვეტებს. ასეთი მასალის მომზადებას პარტკაბინეტები ახლა დიდ ყურადღებას აქცევენ. ამ საქმეში ბრწყინვალე გამოცდილება აქვს სორმოვის რაიონის პარტკაბინეტს. მისმა გამოცდილებამ ჩვენამდე პრესის საშუალებით მოაღწია და ჩვენ იგი არა თუ უნდა გამოვიყენოთ, არამედ შეძლებისდაგვარად ფართოდ გავატაროთ ჩვენში.

თემისთვის „პურზე საბარათო სისტემის გაუქმების შესახებ „პარტკაბინეტმა შეარჩია დამხმარე მასალა, რომელიც ფართოდ დანაწილდა მთელს ქსელში. სტალინის და ლენინის რაიონების პროპსემინარებზე ამ მასალებს აწვდიდენ პროპაგანდისტებს.

მოწყობილია პროპსემინარები კომკავშირის ხაზით, მაგრამ მათი მუშაობის მოწესრიგება მხოლოდ ახლა იწყება.

პარტიული ქსელი ძირითადად შესდგება საკანდიდატო და დაწყებითი სკოლებისაგან, პარტიის ისტორიის წრეებისაგან, მარქსისტულ-ლენინური წრეებისა და მიმდინარე პოლიტიკის წრეებისაგან. ტფილისის კომიტეტის პარტიულმა კაბინეტმა ამოცანად დაისახა პარტიული სწავლების თვითეულ დღეს ინახულოს ერთი წარმოება, რათა გაეცნოს ამ წარმოებას პარტიული სწავლების ხარისხის თვალსაზრისით. ჩვენ არ ვეხებით ორგანიზაციულ საკითხებს — ეს კულტპროპის საკითხებია. ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს უმთავრესად მუშაობის დაყენების ხარისხი. უკანასკნელად წარმოებანი, რომლებსაც ჩვენ გავეცანით: აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, ნავთბურღმანქა, მკერავი № 2, ტრამვაი, ორჯონიკიძის ქარხანა, საქტრიკოტაჟი და „26" კომუნარის ქარხანა. ეს საწარმოები სხვადასხვა რაიონშია და ამიტომ მათი საშუალებით ვღებულობთ სწავლების ხარისხის მდგომარეობის ნამდვილ სურათს ტფილისში.

რას გვიჩვენებს მეცადინეობის ცალკე დღეები წარმოებებში?

აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში წრეების უმრავლესობა მუშაობს დასწრების 90-100 პროცენტით. წრეები, რომლებსაც აქვთ 100 პროცენტიანი დასწრება, ეს არის ამხ. გოდერძიშვილის ხამლეგრო (აპარატურის საამქროს დაწყებითი სკოლა), პროპაგანდისტ ვეშჩიკოვის (საქსოვ საამქროს დაწყებითი სკოლა), და სხვ. წრეები. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა ერთი იმ წარმოებათაგანია, რომელმაც პარტსწავლების ორგანიზაციის საქმეში დიდ ორგანიზებულობას და მტკიცე დისციპლინას მიაღწია. მეცადინეობაზე დაუსწრებლობის საკითხი ირჩევა ჯგუფში და პროპაგანდისტთა თათბირზე. დამახასიათებელია, რომ პარტკომის მდივანი ამხ. ცეცხლაძე თვითონ აწარმოებს დაუსწრებლობის თვითეული შემთხვევის აღრიცხვას, იცის მისი მიზეზები და არც ერთ ფაქტს არ სტოვებს უყურადღებოდ.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხაზით საინტერესო მუშაობა ჩატარდა თამბაქოს ფაბრიკა № 1-ში (პარტკომის მდივანი კოდაიში). სტალინის რაიონის პარტგანათლების სახლმა ამ ცოტახნის წინათ აქ ჩაატარა საჩვენებელი მეცადინეობა (პროპაგანდისტი ამხ. კენიკსონი). მეცადინეობა ჩატარდა საკანდიდატო წრეში გულდასმით დამუშავებული გეგმის მიხედვით. მეცადინეობას დაესწრენ ფაბრიკის პროპაგანდისტები, იყვნენ პროპაგანდისტები აგრეთვე სხვა საწარმოებიდან. მეცადინეობის შემდეგ მოაწყვეს სწავლების მეთოდების კოლექტიურად განხილვა, თუ რამდენად კარგად ჩატარდა მეცადინეობა. ადგილი ქონდა ჯანსაღ კრიტიკას და შედეგად ყველა აღნიშნავდა, რომ საჩვენებელი მეცადინეობა პროპაგანდისტს აძლევს ბევრ რამეს, რაც აქამდის აკლია ჩვენს პროპსემინარებს მეთოდიკის და პროპაგანდისტთა შემადგენლობის შესწავლის დარგში.

პროპაგანდისტი სწყვეტს სწავლების ხარისხის საკითხს. მაგალითად, 26 კომუნარის სახელობის ქარხნის საკანდიდატო სკოლაში ხელმძღვანელი ამხ. იაზლოვსკი, (მუშა ჩამომსხმელი), ატარებს მეცადინეობას ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა გარშემო. არც ერთი მსმენელი არ რჩება პასიურად. საბარათო სისტემის გაუქმების საკითხების განხილვის დროს ეხებიან ქარხნის ცხოვრების ყველა საკითხს დაწყებული საამქროში მუშაობით და გათავებული მუშათა დახურული კოოპერატივის და ქარხნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობით. მართალია, მეცადინეობა მიმდინარეობს [illegible] ხელსაყრელ პირობებში. სკოლას მოეპოება რუკები, დიაგრამები, სპეციალური შენობა, [illegible] მაგიდებით, სუფთა ფარდები; ერთი სიტყვით, აქვს მუშაობის კულტურული პირობები. ყოველივე ეს ხელს უწყობს ნაყოფიერ მეცადინეობას, მაგრამ პროპაგანდისტი საქმეს სწყვეტს იმით, თუ როგორ იხილავს იგი საკითხებს ჯგუფში, როგორ ამზადებს მეცადინეობას.

სწავლება „26" სახელობის ქარხანაში მეორე ცვლაში მომუშავეებისათვის მიმდინარეობს დილის 7½ ს. 9 საათამდე. აქ წარმოებს არა მარტო დაუსწრებლობის, არამედ აგრეთვე დაგვიანების შემთხვევების აღრიცხვაც. ყველა საკითხი, რომლის გადაჭრაც პროპაგანდისტმა ვერ მოახერხა წრეში, იხსნება პარტკომის მდივანთან მოწყობილ სპეციალურ თათბირებზე, რომლებიც ტარდება მეცადინეობის დღის შემდეგად. ეს გამოცდილება: შემოღებულია სხვა საწარმოებშიაც (მაუდის ფაბრიკა), ბევრს იძლევა მუშაობაში. არამარტო კოლექტიურად არკვევენ გაუგებარ საკითხებს, არამედ აგრეთვე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და პროპაგანდისტიც უკეთეს ინფორმაციას ღებულობს მთელს წარმოებაში მუშაობის შესახებ. აქვე ირკვევა რომელი პროპაგანდისტი არ ესწრება პროფსემინარს და როგორ აკმაყოფილებს პროპსემინარები პროპაგანდისტებს.

მეცადინეობის დღის შემდეგ პარტკომის მდივანთან გამართული თათბირები ჩვეულებრივ იხილავენ აგრეთვე პროპაგანდისტების მიერ თავის მეცადინეობაზე დაშვებულ ცალკე შეცდომებს. მაგალითად, ფაბრიკა მკერავი № 1-ში („26" სახელობის რაიონი) დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ პროპაგანდისტმა არასწორად გაშუქა საკითხი პარტიის შესახებ, დემოკრატიული ცენტრალიზმის შესახებ, ნავთბურღმანქში —საკითხი ფაშიზმის შესახებ, აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში—საკითხი იმპერიალიზმის შესახებ.

თუ პარტიულ მეცადინეობაზე დასწრების საკითხში ჩვენ ამჟამად გარკვეული მიღწევები გვაქვს, ეს შედეგია პარტიული კომიტეტების დიდი მუშაობისა ამ მიმართულებით. სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლაში პარტიულმა კომიტეტებმა საწარმოებს დიდი დახმარება უნდა გაუწიონ პირველ რიგში კონსულტაციების დაყენების, პროპაგანდისტთა სისტემატიური ინსტრუქტაჟის, საცნობარო მასალის დროულად მომზადების, ბიბლიოთეკების მოწყობის, საჩვენებელ მეცადინეობათა ორგანიზაციის, თემატიურ მოხსენებათა გამართვის და საუკეთესო სკოლების გამოცდილების უფრო ჩამორჩენილ წარმოებებში გადატანის გზით.

ჩვენ შეუსუსტებლად უნდა განვაგრძოთ ბრძოლა სწავლების მაღალ ხარისხისათვის, თვითეული კომუნისტის იდეურ-პოლიტიკური შეიარაღებისათვის.

◆

სოხუმის ქალაქის საბჭოს სასათბურო მეურნეობამ მანდარინების ნერგების გაშენების გეგმა შესრულა 100 პროცენტით; მოგვცა რა 5.000 ძირი ნერგი.

სურათზე: დამკვრელი ქალი ამხ. ხალინინი საზამთროდ ამზადებს ნერგებს.

◆

„სპარსული ლიტერატურა საქართველოში“

ასეთი სათაურით ათავსებს სპარსული ჟურნალი „მეჰრი“ სპარსეთის ლიტერატორ სეიდ ნაფისის, წერილს.

სეიდ ნაფისი მონაწილეობდა ფირდოუსის საიუბილეო სხდომაზე საქართველოში. თავის წერილში ნაფისი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში გამგზავრებამ საშუალება მომცა გავცნობოდი ტფილისში ფირდოუსის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ სპარსული ხელოვნების და ლიტერატურის [illegible] გამოფენას. ამ გამოფენამ ცხადყო, — ამბობს ნაფისი,— თუ რა დიდი გავლენა განუცდია ქართულ ლიტერატურას სპარსულისაგან.

თვით უდიდესი პოეტი შოთა რუსთაველი, წერს ნაფისი მნიშვნელოვნად განიცდიდა სპარსული ლიტერატურის გავლენას. რუსთაველის მოახლოვებულ იუბილეს გამო ნაფისი აყენებს საკითხს, რომ **ითარგმნოს „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულ ენაზე**, რამდენადაც „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორმა, როგორც სხვა ქართველმა მწერლებმა, (თეიმურაზ 1-ლი თეიმურაზ მე-2), ნაფისის აზრით განიცადეს სპარსული ლიტერატურის გავლენა. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ „შაჰნამე“ მეთორმეტე საუკუნიდან რამდენიმეჯერ ითარგმნა ქართულ ენაზე; ამასთანავე ქართულ ენაზე თარგმნილია სპარსული ლიტერატურის სხვა ნიმუშებიც „(გულამანიანი“ „ქილილა და დამანა“ და სხვ.)

უახლოეს გამოცემებიდან ნაფისი ასახელებს ტფილისში 1916 წელს „შაჰნამეს“ თარგმანის გამოცემას და მიმდინარე წელში ფირდოუსის იუბილესთან დაკავშირებით მე-16—17 საუკუნეების ქართველი პოეტების ანთოლოგიის გამოცემას. აგრეთვე დოც. ალ. ბარამიძის შრომას, ფირდოუსის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიმდინარე წელს გამოუშვებს სპარსეთის პოეტების ნაწარმოებათა კრებულს, რომლის შედგენაში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ქართველი მეცნიერები.

გამოფენის დათვალიერებისას ნაფისმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე [illegible] ძველ ხელთნაწერს და სპარსულ მინიატურებს. „საერთოდ,— წერს ნაფისი,— ქართულმა ლიტერატურამ სპარსული ენის და [illegible] დიდი გავლენა განიცადა. საჭირო იქნებოდა უფრო ღრმად შევდგომოდით ამ საკითხის შესწავლას. ქართულ ეროვნულ მუზეუმში ორი საათის ყოფნით მე იქ არსებული სიმდიდრიდან მეტის ამოწერა ვერ მოვასწარი. იმედი მაქვს, რომ სხვა დროს შევძლებ განვაგრძო ეს საკვლევო მუშაობა და სპარსეთის ლიტერატორებს მეორე საჩუქარი მივუძღვნა“

ჟურნალის ამავე ნომერში მოთავსებულია **ი. ნ. მარის** სტატია „საქართველო სპარსეთის კავშირის შესახებ“. ი. მარი წერილში თავის მხრივ ეხება ქართული ლიტერატურის გავლენას სპარსულ ლიტერატურაზე და იმას, თუ რა მნიშვნელობა ექნება სპარსული მწერლობისათვის ქართული ლიტერატურის გულდასმით შესწავლას. სტატიის ავტორი ასაბუთებს, რომ არ არსებობს ისეთი კულტურა, რომელიც აახლოებდეს სპარსულ კულტურას ქართულისაგან, მით უმეტეს, რომ ბევრი სპარსელი პოეტი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კავკასიაში თანაც ქართულ ენაზე მოიპოვება მთელი რიგი მშვენიერი თარგმანი და გადამუშავება სპარსული ლიტერატურის სხვადასხვა ნიმუშებისა.

ამ თარგმანებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, ვისაც სპარსულ ლიტერატურაში საკვლევო მუშაობის ჩატარება სურს. „შაჰნამეს“ თარგმანი გვიჩვენებს,— წერს ი. მარი,— რომ ჩვენთვის ცნობილი ტექსტის გარდა არსებობდა კიდევ სხვა ტექსტი. ავტორს მოჰყავს ამგვარი ტექსტის ერთი ნაწყვეტი, რომელიც მოიპოვება „შაჰნამეს“ ძველ ქართულ თარგმანში და დაცული არ არის დღემდე შენახულ სპარსულ ხელთნაწერებსა და გამოცემებში.

ამ თარგმანებს მარის აზრით, დღემდე სპარსული ლიტერატურის მკვლევარები ყურადღებას არ აქცევდნენ „მაგრამ, ამბობს წერილის ავტორი“, როგორც კავკასიის ხალხთა ლიტერატურა არ შეისწავლება სპარსეთის ისტორიის და ლიტერატურის სერიოზული ცოდნის გარეშე, ისე ჩვენი ცოდნები სპარსული ლიტერატურაზე არ იქნება სრულყოფილი, თუ შევისწავლით მარტოდ განცალკევით, მასთან ორგანიულად დაკავშირებულ „კავკასიის ხალხთა“ ლიტერატურას.

◆◆◆

კონფერენცია ავეჯის ხარისხის საკითხზე

ტფილისის ავეჯის ფაბრიკაში ჩატარდა კონფერენცია ავეჯეულობის ხარისხისა და ასორტიმენტის შესახებ დარბაზს ამშვენებს სანიმუშოდ გამოფენილი ნივთები: შიფონერკი, წიგნების შკაფი, მაგიდები, ბუფეტი, ნახევარ-ბუფეტი, სკამები და სხვ. კონფერენციაზე მოსული სავაჭრო ქსელისა და დაწესებულებათა წარმომადგენლები და მუშა-მოსამსახურეები გულდასმით ათვალიერებენ ყოველივე ამას.

კონფერენცია გაიხსნა ფაბრიკის პარტკომის მდივნის ამხ დოიჯაშვილის შესავალი სიტყვით. დირექტორი ამხანაგი ბუჯიაშვილის მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. გამოირკვა, რომ ფაბრიკა წელს სრული დატვირთვით არ მუშაობდა. საქსატყეტრესტი სუსტ ხელმძღვანელობას უწევდა ამარაგებდა ცუდი ხარისხის ხე-ტყის მასალით (79—80 პროც. დამპალი იყო გარეული) და იმასაც არასაკმარისად მაგრამ ფაბრიკამ მაინც შეძლო საკუთარი ძალღონით გეგმის 96 პროცენტით შესრულება (11 თვის).

კონფერენციამ დასახა მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი. გამოფენაზე გამოტანილი ავეჯის უმრავლესობა მიღებულ იქნა ზოგიერთი სტილისტური და სილამაზის ხასიათის შესწორებებით. წამოყენებულ იქნა ახალი ასორტიმენტი (კარადა, ლამაზი საწერი მაგიდა, სამოვრის და პატეფონის დასადგმელი მაგიდები და სხვ.).

დავეუფლოთ ავეჯის სტილს და მის სილამაზეს, გავადიდოთ ასორტიმენტი და მისი მოცულობა, შევამციროთ თვითღირებულება,— აი ამ ლოზუნგებით ჩატარდა კონფერენცია.

◆◆◆

წერილები ადგილებიდან

ცუდად მუშაობენ

საქართველოს მთელ რიგ რაიონებსა და სოფლებში არსებული კლუბ-სამკითხველოები კულტ-მასობრივი მუშაობის გაშლის მაგივრად უმოქმედობას იჩენენ. საკმაო რაოდენობით არა აქვთ გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები. სამკითხველოს გამგეები არ ატარებენ საუბრებს კოლმეურნეობებში სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. რაც ყოვლად დაუშვებელია.

სოფ. მეორე ნიგოზში (სამტრედიის რაიონი) არსებობს ქოხ-სამკითხველო, რომელიც შესაფერ კულტ-მომსახურებას ვერ უწევს ადგილობრივ მშრომელ მოსახლეობას. სამკითხველოსთან ჩამოყალიბებული არ არის სხვადასხვა სახის წრეები. არ იდგმება წარმოდგენები და სხვა.

უნდა ითქვას აგრეთვე, რომ ადგილობრივი სასოფლო საბჭო დუმილით უპასუხებს ყოველივე ამას, იგი თავის დროზე არ აძლევს სიგნალს რაიგანათლების განყოფილებას, რომ მიიღოს გადამჭრელი ზომები ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ.

კიდევ მეტი რა დროსაც არ უნდა გაიაროთ ქ. ზუგდიდის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს წინ. ნახავთ მსხვილი ასოებით დაწერილ წარწერას. „დაკეტილია“ რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს ადგილობრივ მკითხველთა შორის ქალაქის საბჭო თავის დროზე არ აძლევს სამკითხველოს ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად გათვალისწინებულ თანხას. ალბად ასეთი „უბრალო“ საქმისათვის არა სცალია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზუგდიდის კლუბ-სამკითხველოს დადგმული ჰქონდა რადიო, მაგრამ ფულის გადაუხდელობის გამო მოუხსნეს განათლების განყოფილებას დღემდე არავითარი ზომები არ მიუღია სამკითხველოს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საჭიროა რაი-განათლების განყოფილებებმა კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიონ ადგილებზე კლუბ-სამკითხველოების გამგეებს შემდგომი მუშაობის წარმატებით ჩატარებისათვის.

მეთვალყურე.

თავგასული ექიმები

(მკითხველის წერილი)

საუბარი ეხება მცხეთის ზოგიერთ ექიმებს, სახელდობრ სოფიო გუდიაშვილს, ლეო გვაზავას და ანა ხუბიეროვს (ამბულატორიის და საავადმყოფოს მუშაკები).

რას ვერჩით მათ? რას უწუნებთ? იმას, რომ მათ „საიდუმლო გეგმა“ აქვთ (იქნებ დაუწერელიც!) და მისი მიხედვით მოქმედებენ?!

დიახ, სწორედ ამ „გეგმით“ მუშაობაზეა ლაპარაკი

ფაქტები გნებავთ?

მცხეთაში მცხოვრებ ხიზანაშვილის ცოლი საავადმყოფოში მივიდა. სოფიო გუდიაშვილმა ის უკანვე დააბრუნა. მერე თვითონ ექიმი მივიდა ავადმყოფის სახლში და აბორტი გაუკეთა. ექიმობამ ორ დღეს გასტანა პაციენტი ქალი სისხლისაგან კინაღამ დაიცალა. გუდიაშვილმა მაინც ასი მანეთი აიღო და „საიდუმლო ბიუჯეტში“ გადარიცხა.

წითელარმიელ მრევლიშვილის ცოლს, რომელიც აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა მშობიარობის გამო, არ მიეშველა სოფიო გუდიაშვილი. მშობიარე სამ დღეს იტანჯა და მკვდარი ბავშვი დაბადა (რა ექნა, შინაურულად ვერ გაუმასპინძლდა გუდიაშვილს!).

ლეო გვაზავა (საავადმყ. გამგე) კვირაში სამ დღეს მუშაობს ამბულატორიაში, ისიც ერთ-ორ საათს, დანარჩენი დრო?

დანარჩენ დროს კერძო საქმეებს ანდომებს. ამბულატორიაში მოსულ ავადმყოფებს უკან ისტუმრებს. „საღამოს, მუშაობის შემდეგ ჩემს სახლში მოდით!.—უბნება მათ.

არ ჩამორჩება მათ ანა ხუბიეროვი. სხვათაშორის, მან სოფიო გუდიაშვილთან ერთად დაიწყო უპრინციპო ბრძოლა პატიოსან მუშაკების ანნა კალანდაძის და ქეთო დადიანის წინააღმდეგ.

„საიდუმლო გეგმა“ შესრულებულია. ახლა ისღა დარჩენიათ, რომ შესრულების შედეგებზე უპატაკონ გორეულის რაიჯანგანყოფილებას.

ნიკოლოზ ზავრაშვილი.

„ცემაში ხუთი მანეთი მერგება“

სოფ. მეჯვრისხევში (გორის რაიონი) ტყის მცველად მუშაობს ვინმე ბ. უტრიაშვილი ის ცნობილია ლოთობით და კომბინატორობით სათანადო ნებართვის მქონე გლეხი ტყიდან შეშას ისე ვერ გამოიტანს. თუ ჯარიმა არ გადაიხადა, ან „მაღარიჩი“ არ იკისრა ბ. უტრიაშვილის სასარგებლოდ.

მიმდინარე წლის ნოემბერში გლეხმა კ. გიგოლაშვილმა სატყეო განყოფილებიდან ნებართვა აიღო, შეშა დაამზადა და სახლში მიჰქონდა. ურმით გზაზე მას მთვრალი ტყის მცველი ბ უტრიაშვილი დახვდა და ნებართვა მოსთხოვა. კ. გიგოლაშვილმა წარუდგინა საბუთი ტყის მცველი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. არ იცოდა რა ექნა. რა მიზეზი გამოენახა, რომ გლეხისთვის „ჯარიმა“ გადაეხდევინებია და არ, რა მოუგონა:

ტყიდან ფიჩხი უნდა გამოგეტანა, შენ კი შეშა მოგაქვს. აბა ჩქარა, დაცალე ურემი! გლეხი ემუდარებოდა, ეხვეწებოდა, რომ შეშა არ წაერთმია, მაგრამ გათავხედებულ ბ. უტრიაშვილს ხვეწნა-მუდარამ ვერ მოულბო გული. ურემი დააცლევინა და შეშა კერძო პირს 80 მანეთად მიჰყიდა ფულს, რასაკვირველია, თავისი გზა უჩვენა. ხოლო 68 წლის მოხუცს ცემა და... 5 მანეთი გამოართვა:—„ცემაში მერგებაო“.

ბ. უტრიაშვილის „საგმირო საქმეები“ მარტო ამით როდი ამოიწურება მშრომელ გლეხს ი. გელიაშვილს ერთი ურემი შეშა წაართვა და მხოლოდ მაშინ დაუბრუნა, როცა 20 მანეთი „ჯარიმა“ გადაიხდევინა... ასე მოექცა ვ. ჩიტიაშვილსაც.

ზიო.

საბჭოთა კინემატოგრაფიის 15 წლისთავისათვის

საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნოს მიმდინარე წლის დეკემბრის დამლევს საბჭოთა კინემატოგრაფიის არსებობის 15 წლისთავი.

ამიერ-კავკასიის დიდ ქალაქებში საბჭოთა კინემატოგრაფიის 15 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართება კინომუშაკების საზეიმო კრებები საბჭოთა ხელოვნების სხვა დარგების მუშაკებთან ერთად, საზოგადოებრივ - პარტიული ორგანიზაციების მონაწილეობით.

კინოთეატრებში, მუშათა კლუბებსა და საწარმოებში მოეწყობა საუკეთესო ფილმების დემონსტრაცია. სეანსებს შუა მოხდება კინემატოგრაფიის შემომქმედ მუშაკთა გამოსვლა მოხსენებებით ჩატარებული მუშაობის, საბჭოთა კინოს წარმატებების და ამოცანების შესახებ.

(ადს).

◆

საწვავი ფიქალის ახალი საბადოები

საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამთო-გეოლოგიური განყოფილების მუშაკმა ამხ. ს. გაგოშიძემ ქუთაისიდან 15 კილომეტრის მანძილზე სოფ. ოფურჩხეთისა და ეონეთის მიდამოებში გეოლოგიური კვლევის დროს აღმოაჩინა ე. წ. საწვავი ფიქალის ახალი დიდი საბადო.

აღნიშნული ფიქალი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შეშის მაგიერ, რადგან მას ადვილად ეკიდება ცეცხლი, ნაკვერცხალი დიდხანს ძლებს,—გარდა ამისა ფიქალი გაცილებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე, შეშა.

აღნიშნული საბადოებიდან ნიმუშები წამოღებულია ტფილისში ანალიზების გასაკეთებლად.

◆

ძველებური დაკრძალვა მცხეთაში

ამ ცოტა ხნის წინათ მცხეთის ნავთსადენის მუშებმა ამხ. მელნიკოვმა და კოზლოვმა ბუჩქნარით დაფარული მთის კალთაზე აღმოაჩინეს ქვის ფილაქნების სამარხი ყუთი, სიგრძით 1 მ. 70 სანტ. სიგანით 85 სანტ. და სიღრმით 80 სანტიმეტრი. ყუთში იპოვეს ადამიანის ძვლების ნაშთები, ოქროს ბეჭედი, ვერცხლის ბეჭედი [illegible] სარდიონის ქვაზე, რომელზედაც მხატვრულად გამოკვეთილია მოცეკვავე ფაუნი ყურძნის ტევნით ხელში. აგრეთვე პართიანული მონეტა მეფე გოტარზესის (ჩვენი წელთაღრიცხვის 41—50 წლ.) პროფილის გამოხატულებით.

ყველა ნაპოვნი ნივთი გადმოტანილია საქართველოს მუზეუმში. ადგილზე გაიგზავნა მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი დოცენტი მაკალათია, რომელმაც დაათვალიერა სამარხი; იქ აღმოჩნდა კიდევ ერთი ოქროს საყური.

საქართველოს მუზეუმი განაგრძობს ნაპოვნი ნივთების შესწავლას (ადს).

◆

ა.-ქ. ფედერაციის მოედნის გაშუქება

ტფილისის საბჭოს დავალებით [illegible] ამზადებს ტფილისის საბჭოს შენობის და ა.-ქ. ფედერაციის მოედნის სხვა შენობათა გაშუქების პროექტს.

გაშუქების პროექტების შედგენა დაევალა არქიტექტორ მ. კელჩევსკის და ინჟინერ-ელექტრიკოს ნასბერგს.

ესკიზების თანახმად, განზრახულია ტფილისის საბჭოს შენობაზე აღიმართოს ლენინის და სტალინის პორტრეტები, რომლებიც გაკეთდება ნეონური მილებისაგან პორტრეტები მოგვცემენ ღამით განათებულ, ხოლო დღისით სილუეტურ ნაკვთებს.

მოსკოვის მაგალითის მიხედვით, შუქიანი გაზეთებისათვის დაიდგმება ორი ეკრანი, რომელთა აპარატურას (ელექტროგრაფები და ეკრანები), 2000 ნათურის სიმძლავრით, ნაწილობრივ დაამზადებენ ადგილობრივი ქარხნები, ხოლო ნაწილობრივ გამოიწერენ მოსკოვიდან.

ტფილისის საბჭოს შენობაზე დაიდგმება აგრეთვე შუქიანი ნეონური და არგონული მილები.

ტფილისის საბჭოს შენობაში მოთავსებული მაღაზიების ფასადები განზრახულია გაფორმებულ იქნას მხატვრული შუქფენი აბრებით, რომლებიც წარმოდგენას მოგვცემენ თვითეული მაღაზიის სპეციფიკაზე.

(ადს).

„ჩაპაევს“ დიდძალი ხალხი აწყდება ტფილისში. **სურათზე:** კინო—„ოქტომბერის“ წინ მოზღვავებული ხალხი სეანსის გათავების მოლოდინში.

„ტაქსი“ ტფილისში

18 დეკემბერს ტფილისის ქუჩებში გამოვიდა საქართველოს „სოიუზტრანსის“ ახლად მიღებული პირველი 12 ტაქსომოტორი. მანქანები დამზადებულია გორკის საავტომობილო ქარხანაში. ყველა მანქანაზე დადგმულია ტაქსომეტრები, რომლებიც აჩვენებენ გავლილ კილომეტრებს და მგზავრობისათვის გადასახდელი თანხის რაოდენობას



მანქანების ექსპლოატაციის პირველმა დღემ ცხადჰყო, რომ 12 ტაქსომოტორი სრულიადაც არ არის საკმარისი ტფილისისთვის. მანქანები განუწყვეტლივ მუშაობდნენ და თვითეული მანქანის დასაქირავებლად მგზავრებს ბრძოლა უხდებოდათ. ტფილისის საბჭოსთან და სადგურთან გასაჩერებელ პუნქტებზე ტაქსომოტორები თითქმის სრულებით არ ჩანდა. განთავისუფლებულ მანქანას იმწამსვე იკავებდნენ დღის 12 საათიდან ღამის 12 საათამდე მანქანების ექსპლოატაციამ მოგვცა 2.500 მანეთი, მაშინ როცა 1 კილომეტრის გავლა ღირს 1 მ. 30 კაპიკი.

საჭიროა „სოიუზტრანსმა“ ახლავე იზრუნოს პარკის გადიდებაზე და ტაქსომოტორები ხელმისაწვდომი გახადოს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის (ადს).

◆◆◆

საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირში

ა.-წ. 12 დეკემბერს, საქ. საბჭოთა მხატვრების გალერეაში გაიხსნა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მხატვრის **მახარბეკ ტუგანოვის** სურათების პირველი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ასამდე ტილო ფერწერისა და 150-დე გრაფიკული ნამუშევარი

მხატვარ ტუგანოვის შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული სამხრეთ-ოსეთის მშრომელი ხალხის ყოფაცხოვრებასთან. სანამ სამხრეთ-ოსეთსა და საერთოდ კავკასიის პატარა ერებში შეანათებდა რევოლუციის გარიჟრაჟი. ტუგანოვს ოსური ხალხური ფოლკლორი იზიდავდა: მას აქვს მთელი რიგი ტილოები. რომლებშიაც ნათლად აქვს გადმოცემული ხალხური [illegible], ხალხური. ეპოსი. თქმულებანი და სხვ.

ტუგანოვის შემოქმედების პირვანდელ ნამუშევრებში ნათლად არის გამოხატული ოსეთის მშრომელი მოსახლეობა, რომელიც ბოლშევიზმის დროშის ქვეშ იბრძოდა. მეფის არმიის და მენშევიკური საქართველოს წინააღმდეგ.

12 დეკემბერს, საღამოს, მხატვართა კავშირის კლუბში ტუგანოვის სურათების გახსნასთან დაკავშირებით. რომელსაც დაესწრნენ საბჭოთა მხატვრების და ხელოვნების სხვა მუშაკები მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს სახ მოქანდაკე პროფ. ი. ნიკოლაძემ, პროფ. მ. თოიძემ. პროფ გუდიაშვილმა. სახალხო კომპოზიტორ პროფ. დ. არაყიშვილმა, და სხვებმა. გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ მხატვარ ტუგანოვის ენერგიულ მუშაობას სახვითი ხელოვნების ფრონტზე და განსაკუთრებით სამხრეთ-ოსეთის მხატვრული კულტურის შექმნის საქმეში.

თავის საპასუხო სიტყვაში მხატვარმა მ ტუგანოვმა გამოთქვა დიდი კმაყოფილება და მადლობა იმ გულთბილ მოპყრობისათვის, რომელიც გამოიჩინა მხატვართა კავშირმა ტუგანოვის გამოფენისადმი. გამოფენას დიდძალი ხალხი ნახულობს.

სრულიად საკავშირო საბჭოთა მხატვრების ყრილობისათვის საქ საბჭოთა მხატვრების კავშირი გაცხოველებით ემზადება: ტარდება მხატვრობასა და სახვითი ხელოვნებაზე სპეციალური მოხსენებები. საბჭოთა მხატვრების სრულიად საკავშირო ყრილობასთან დაკავშირებით საქ. განსახკომმა მოსკოვში გაგზავნა საქ საბჭოთა მხატვრების კავშირის თავმჯდომარე ამხ ა. დუდუჩავა, მოსკოვის საბჭოთა მხატვრების კავშირთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებისათვის და მოსკოვში საქ. საბჭოთა მხატვრობის გამოფენის მოსაწყობად

მხატვარ მახარბეკ ტუგანოვის გამოფენის ერთი კუთხე.

ხელოვნება

„მაისტერ“ რუსთაველის თეატრში



ვ. ლალიძე „კარფუნკელის“ როლში.

უკრაინელ დრამატურგის ივ. კოჩერგას პიესა პირველ ყოვლისა საინტერესოა თავისი ჟანრობრივი სიახლით. რთული დრამატურგიული ხერხებით, მხატვრული ზომიერების იშვიათი დაცვით, სცენიურ მდგომარეობათა საზღვრითი შინაარსობრივი დაძაბულობით დრამატურგი მოკვეთილად და რეალურად აძლევს მაყურებელს სამი ეპოქის განცდის საშუალებას. სულ რამდენიმე პერსონაჟის გამოყენებით ერთ და იმავე პატარა მიყრუებულ სადგურზე, თითქო ფრაგმენტალურად, მაგრამ მეტად პლასტიურად თქვენ წინ გრიგალივით გადაირბენს 1912—1929 წლებს თავის ყველაზე უფრო დამახასიათებელ მომენტებში.

აი მეფის დრო: მომწყენილი ინტელიგენტი ოცნებობს პარიზის მომხიბლავ სასახლეებზე, ვენეციის ლაჟვარდ ცაზე... და ჯერჯერობით კი კითხულობს ლექციებს მისტიკურ ანარქიზმსა თუ ანარქიულ მისტიციზმზე. მაგრამ ეს ანარქიზმი და ეს მისტიკა იმდენად უვნებელია არსებული წყობილებისათვის, რომ მათ დასტურს აძლევს სტოლიპინის ე. წ. „3 ივნისის რეჟიმის“ ტიპიური წარმომადგენელი — დიდი მემამულე გრაფი ლუნდიშევი, რომელიც საკომისიო დავალებასაც კი აძლევს ანარქისტ-ინტელიგენტს.

მემანქანე ჩერევკო გაფიცვის მოწყობისათვის დაუთხოვიათ და ახლა იგი სოფელში აღვივებს რევოლუციურ ხანძარს. გრაფმა ყველაფერი ეს კარგად იცის, მაგრამ მას მაინც აუცილებლად მიაჩნია თავის საქამრისათვის 20.000 მანეთად ღირებული ქამრის შეძენა. ამით დრამატურგი გვიჩვენებს ყოფილი რუსეთის იმპერიის, იმ გიგანტურ სოციალ-პოლიტიკურ წინააღმდეგობებს, რომელნიც ააფეთქა და საბოლოოდ გაანადგურა ოქტომბერმა.

ლუნდიშევი და მისი სახით რუსეთის თვითმპყრობელობის სამხედრო ფეოდალური სისტემა მოსპობილია, მაგრამ არსებობს მსოფლიო კაპიტალისტური გარემოცვა, რომელიც პიესაში წარმოდგენილია „დროის ოსტატის“ გერმანელ კარფუნკელის სახით.

კარფუნკელის უძლური ამბოხება მხოლოდ რევოლუციის საქმეების და ტემპების ინტელექტუალურ არმიღებასა, ფარულ მავნებლობასა და ირონიაში გამოიხატება. მსოფლიოში უდიდესი რევოლუციის ხანას იგი რიცხავს „დროიდან“, იგი „აჩერებს“ და „უკან სწევს“ რევოლუციის საათს რომ ჰაიდელბერგში ჩასვლის შემდეგ აამუშაოს „ერთადერთი ჭეშმარიტი საათი“.

უნდა ითქვას, რომ კოჩერგას პიესა, თავისუფალი ნატურალისტური, ყოფა-ცხოვრებითი ელემენტებისაგან, მეტად მიდგომია რუსთაველის თეატრის პათეტიურ და დინამიურ სტილს; თუმცა ზოგან (მაგ. გრაფ ლუნდიშევის მოხაზვაში) დამდგმელს (რეჟისორი კ. პატარიძე) შეუსუსტებია ამ ტიპის მკვეთრი სოციალური დახასიათებები, და გადაუტვირთავს იგი წმინდა ფიზიკური პათოლოგიის ხარჯზე. ამ მიმართებით კი ლუნდიშევის შემსრულებელ (დამსახ. მსახ. ვ. აბაშიძეს) დიდის ძალით აქვს მოცემული (ლუნდიშევის სრული განადგურება და დაფერფვლა, რასაც მაყურებელი იღებს როგორც ძველი ქვეყნის აჩრდილის სრულ დასამარებას. კარფუნკელის მეტად ძნელი როლის შესრულებაში (რასაც ერთვის გერმანული აქცენტის დაცვის დამატებითი სიძნელე) მსახ. ლალიძე უსათუოდ დიდ წარმატებას აღწევს. კარფუნკელის საკმაოდ აბსტრაგირებულ და უფრო ინტელექტუალურ პერსონაჟს, სახეს-იდეას, მსახიობი დამაჯერებლობას აძლევს იმით, რომ არ სტიშავს ემოციის აზრისაგან.

ინტელიგენტის ტიპის შემსრულებელ მსახ. მ. აფხაიძეს სწორად აქვს გაგებული იურკევიჩის უპრინციპობა, და შეგუების უნარი (ტყუილა კი არ ამბობს მასზე მუშა ტარატუტა: „კარგი ბიჭია, მაგრამ ჩვენი არაა, უცხოაო“), მაგრამ მსახიობი როლს ზოგჯერ ერთგვარ შარჟულ ინტონაციას და მიმიკას აძლევს, რაც ჩვენის აზრით არ გამომდინარეობს კოჩერგას ქვეტექსტიდან.

კარგია მსახ. უაზაიშვილის, ხუციშვილის, სამივე ჩარჩის (მსახ. დადიანის და სხვ. მიერ) პატარა, მაგრამ დასრულებულად განსახიერებული როლების რეალისტურ-გროტესკული შესრულება. მსახიობი — ქალი ნ. თულაშვილი წარმატებით ძლევს თავისი პერსონაჟის (ლიდია) სქემატიზმს. მსახ. აბესაძეს კარგი საღებავები მოუნახავს დაუცხრომელ ტარატუტას განსახიერებისათვის. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია (თავისთავად მოხდენილად დადგმულ და შესრულებულ) პროლოგის საჭიროება, რადგან მასში გრაფ ლუნდიშევს იმთავითვე მეტად კარიკატურული დახასიათება აქვს მიცემული და ეს არაა სწორი, რადგან ლუნდიშევი საკმაოდ ჭკვიანი და შეგნებული მტერია. ლუნდიშევის, ასე ვთქვათ, უფრო სერიოზულ-კომედიური ტრაქტოვკა მით უმეტეს საჭიროა, რომ დანარჩენი თეთრგვარდიელები, როგორც ავტორს, ისე დამდგმელს საკმაო ზომით გაშარჟებული ყავთ.

ავადმყოფ ბავშის მოტივი, რომლის შესახებ კოჩერგას მხოლოდ ორიოდე პატარა რეპლიკა აქვს, მთელ სურათადაა გაშლილი და მიუხედავად მეტად ლირიკული გადმოცემის (ახალგაზრდა მსახ. ნ. ფხაკაძის ქალი) სურათი ამუხრუჭებს მოქმედებას და ანელებს პიესის დინამიკას.

მთელი დადგმა და გაფორმება (მხატვ. ქობულაძე) რუსთაველის თეატრის მაღალი კულტურის დონეზე დგას. კომპ. ი. ტუსკიას მუსიკა იქცევს ყურადღებას; იგი ცილდება სახელდახელო ილუსტრირებულ მუსიკის საზღვრებს და ორგანულ ნაწილად ერთვის სპექტაკლს.

კოჩერგას პიესის დადგმით რუსთაველის რევოლუციური რომანტიკის თეატრმა დაგვანახვა რეალისტური დრამატურგიის ნიმუშის კარგი ათვისება და მსახიობთა ახალგაზრდა ძალების საიმედო მარაგი.

ალი არსენიშვილი.

◆◆◆

ფიზკულტურა და სპორტი

შარლ რიგულო ჩამოდის საბჭოთა კავშირში

ფიზკულტურის საკავშირო უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ცნობებით, მსოფლიო ფალავანი სიმძიმეების აწევაში ფრანგი შარლ რიგულო თავის მასწავლებელ ანრი ბუჟუესთან ერთად აპირებენ საბჭოთა კავშირში ჩამოსვლას.

შარლ რიგულო წინათ მოხალისე სპორტსმენი თავის განსაკუთრებული ღონისა და ნიჭის გამო გადაიბირეს სიმძიმეების აწევის პროფესიონალებში.

ამჟამად რიგულო 30 წლისაა; იწონის 100 კილოგრამს, მაშინ როდესაც მისი ტანის სიმაღლე 175 სანტიმეტრს შეიცავს მას თავის სპორტული მოღვაწეობის ასპარეზზე დამყარებული აქვს სიმძიმეების აწევის ყველა მოძრაობაში 60 მსოფლიო რეკორდი.

1924 წელს რიგულომ მსოფლიო ოლიმპიადაზე პირველობა მიიღო. ხოლო 1925 წლიდან იგი განუწყვეტლივ ატარებს მსოფლიო ფალავნის სახელს. მის მიერ მიღწეული შედეგები სიმძიმეების აწევაში მოხალისე მსოფლიო ფალავნებისათვის დღემდე მიუწვდომელია. მაგალითად, ორი ხელით ატაცებაში მან მიაღწია 143 კილოგრამს მაშინ, როდესაც მსოფლიო მიღწევა ამავე მოძრაობაში 127,5 კილოგრამია. ხოლო საკავშირო მიღწევა. რომელიც აბარცუმიანს ეკუთვნის, 118 კილოგრამს უდრის.

შ—ძე.

ქრონიკა

— 22 დეკემბერს სალ. 7 საათზე მწერალთა სახლში, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი მართავს შემოქმედებით დისკუსიას კინო-ფილმ „ჩაპაევის“ შესახებ. მომხსენებელი ამხ. ბ. ჟღენტი.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

— 23 დეკემბერს დღის 3 საათზე შესდგება საქ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის კათედრის ღია სხდომა. მოხსენებას გააკეთებს პროფ. ლ. კალანდაძე, თემაზე — „ჭიანჭველები, როგორც სოციალური მწერები და მათი როლი მეაბრეშუმეობაში“.

— 22 დეკემბერს სალ. 7 საათზე ტფილისის სახ. უნივერსიტეტის ასპირანტურის ინსტიტუტი იწვევს ახალგაზრდა მწერლების თათბირს. თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: გიგიბერია, გვახალია, ჭიჭინაძე, თოშაძე, მელაძე, კაჭახიძე, თარხნიშვილი მაშაშვილი, ფხაკაძე, ჩხეიძე, პოლუმორდვინოვი, შავგულიძე და ფულავა.

21 დეკემბერს მწერალთა სახლში (მაჩაბლის 13) მწერალთა კავშირის საბავშო ლიტერატურისა და დრამატურგთა სექციები აწყობენ „თოჯინების თეატრის“ სპექტაკლის საჯარო განხილვას.

დასწრება შეუძლიათ მხოლოდ: მწერლებს, დრამატურგებს და კრიტიკოსებს.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

— ტფილისის ქალაქის კომენდანტი იტყობინება, რომ 21, 22 და 23 დეკემბერს მლაშე ტბის რაიონში იწარმოებს საარტილერიო სროლა.

ოპერისა და ბალეტის თეატრი სახ. 1934-35 წ. სეზონი

დღეს	22 დეკემბერს	23 დეკემბერს
მე-11 აბონ. 5 წარ.	მე-10 აბონ. 5 წარ	12 აბონ 5 წარ
პიკის ქალი	სიმფონიური კონცერტი დასაწყისი 9 საათზე.	თავადი იგორი

იმ აბონენტებს, რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი მე-6 სააბონემენტო შესატანი, ეკრძალებათ წარმოდგენაზე დასწრების უფლება, ხოლო მათი ადგილები გაიყიდება

დაიწყო მეშვიდე სააბონემენტო გადასახდელის მიღება ყველა აბონემენტზე.

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს ზუსტად 8 საათზე.

რუსთაველის თეატრი [illegible]

დღეს	22 დეკემბერს	23 დეკემბერს
მე-9 აბ. 3 წარ.	12 აბონ. 3 წარ.	მე-13 აბ. 3 წარ.
ი Tirannos	ი Tirannos	დუშმანი

20 დეკემბრიდან 2-დი დაიწყება იანვრის თვის ტალონების (ბილეთები) გაცემა. ტალონების გაცემა იწარმოებს თეატრის ბუღალტერიიდან დილის 9-ნახ.—4 საათამდე.

ადგილკომებმა უნდა გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები სათანადო საბუთებით ბილეთების მისაღებათ. სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 საათამდე.

დასაწყისი 8 საათზე.

მუზკომედიის თეატრი

21 დეკემბ. აბონ. № 5 მე-3 წარმ.	წარმოდგენა № 42 ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ
23 დეკემბ. აბონ. № 3 მე-3 წარმ.	წარმოდგენა № 43 ნინოშვილის გურია
24 დეკემბ. აბონ. № 2 მე-3 წარმ.	წარმოდგენა № 44 მზის დაბნელება

აბონენტთათვის სავალდებულოა მეოთხე გადასახადი.

სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი
12, 2, 4, 6, 8, 10

დამკვრელი
5, 7, 9, 11

ტემპი
6-30, 8, 9-30, 11

რ. ლუქსემბურგის სახ.
5-30, 7-20, 9-10, 11

„26“-ის კომ სახ
1, 8-30, 10.

დიდი ხმოვანი ფილმი ჩაპაევი
რეჟისორები ძმ. ვასილიევები.
კ/თეატრების დირექტორებთან მიიღება განცხ. სურათზე კოლექტ. დასწრების შესახებ ყოველდღე 12—4 საათამდე.

მხატვრული ფილმი
რისთვის დასაჯეს

ხმოვ. ფილმი უკანასკნ. მასკარადი
დღისით 11-30 წ.
ადათის გავლენის ქვეშ

ხმ. ფილმი შაქირი. რეჟ. ლ. [illegible]
დღისით პატარები და დიდები

ექიმი
ს. გ. დილბანძე
სპეც. შარდ-სასქესო, ვენერიული და კანის სნეულებანი, მწვავე და ქრონიკ. სუსტი და სქესობრივი უძლურების მკურნალობა
მიღ საღამოთი მამაკაცების 6—8. ქალების 5 6 ს. თეატრალური შეს № 1 ბ, სახოპერის თეატრის გვერდით,
6—1

თანახმად წევრთა საერთო კრების დადგენილებისა
ხდება ინვ. არტელ
„ინახალმშენი“-ს
ლიკვიდაცია
პრეტენზიები მიიღება ა. წ. 30 დეკემბრამდე. ლიკვიდკომი იმყოფება ფურცელაძის ქ. 19, არტ „მადარი ხე“-ს კანტორაში. ბ242

[illegible] ჩამოთვლილი საბუთები
[illegible] წიგნაკი № 34 220 ნინა ჯიბლაძის.
პასპორტი № 113516 არჩილ გოგიბაშვილის № 32
დაკარგულია
სამწლიანი პასპორტი, კოოპკავშირის წიგნაკი, სტუდენტობის მოწმობა ოთარ ბოკერიასი

საქ. ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ინსტიტუტის ინჟინერ მიხეილ გორგიძეს მისი მამის ფილიპე ნიკოლოზის-ძე გორგიძის გარდაცვალების გამო.

დედა ნუცა, მამა გოგია, ბებია რებეკა, ბიძაშვილები იუწყებიან პატარა ელიკო (კარლო) გოგიას-ძე გოლოშვილის უდროოდ გარდაცვალებას დაკრძალვა მოხდა ვერის სასაფლაოზე 20 დეკემბერს.

დედა ბარბარე, ბაბუა არჩუაძეები, მეუღლე უშანგი არჩუაძე ოჯახითურთ მამიდა ნინო, ბიძები: მათე, ლუკა, დეიდები: სოფიო, მარიამი, ეკატერინე, ნინო იუწყებიან ელიკო არჩუაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 5 საათზე, საკუთარი ბინიდან ობის ქ. № 23, ვერის სასაფლაოზე.

ფარმაკო-ქიმიური ტექნიკუმის პედაგოგიური პერსონალი იუწყება ამავე ტექნიკუმის თანამშრომლის [illegible] ალექსანდრე (საშა) წურთლის გარდაცვალებას. გასვენება დღეს 4 ნახ საათზე კუკიის სასაფლაოზე, ნინოშვილის ქ. № 1-დან.

ძმები: გიგა, [illegible], რძლები: ბაია, [illegible] ბილინა. ძმისწულები: სერგო, მიტუშა, სიმონ ტოტოშა, [illegible] იუწყებიან დის ალექსანდრა (ს. ა.) [illegible] წურთლის გარდაცვალებას.

დისშვილები: ნინა, გოგი, ნიკო, ნათელა ჩარკვიანები, ეთერი პაპაშვილი, არჩილ ოთარი ნიკოლაიშვილები, მაღლენა, გაიოზი ქურდოვანიძეები ძმისშვილები: ლიდა. კონა ხუციშვილები იუწყებიან ბიძის [illegible] ხუციშვილის უდროოდ გარდაცვალებას.

დედა. [illegible], ძმები, ელენე, ქეთო, ლუბა, ძმა ვასო ცოლშვილით სიძეები: პეტრე ჩიჩინაძე, [illegible] ქურდოვანიძე შვილებით იუწყებიან ივანე ზაქარიას-ძე ხუციშვილის უდროოდ გარდაცვალებას. გასვენება დღეს 4 ს. თელეთის შეს. № 3, ქუკიის სასაფლაოზე.

დედა აგრიპინა, მეუღლე [illegible] მადლობას უცხადებენ დაწესებულებებს, მეგობრებს, ნათესავებს და ნაცნობებს, რომლებმაც [illegible] გაიზიარეს ჩვენი უდიდესი მწუხარება ლუბა ლოლაძე-შვანიას მოულოდნელად გარდაცვალების გამო

მისამართები: რედაქცია რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ № 64 ტელეფონები: რედაქტორის 8 62 26. რედაქტორის მოადგილის 8 69 08. პასუხისმგებელი მდივნის 8-06 88 მასობრივი განყოფილების 8—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 8—07—61, სამრეწველო განყოფილების 8—73—40, [illegible] 8—27—04 გამომცემლობის — 8-51-81 ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს

ტირაჟი 98.000. ტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 66 მთავლიტის რწმუნებული 9431